პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 მაისი ხუთშაბათი 1972 წასი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 115 (15328)

ხუთწლედი—ვაკადამდე!

ლაშქრობა 260.000 ტონა ჩაისკენ

მათ თავი ისახელეს

საქართველოს მეჩაიეები შეუდგნენ მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის მოსავლის აღებას. საკრებულ გვიდნენ გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. მათ პირობა დადეს საიუბილეო წელს 3.300 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფონ, ანუ გეგმის 150 ტონით მეტი. შვიდასი ტონა ნედლეული მოიკრიფება მანქანებით. საქართველოში კარგად არის ცნობილი აჩიგვარელი მექანიზატორის ლენინის ორდენის კავალერ კომკავშირელ ნაზიბროლა ხასაიას სახელი. იგი მეჩაიე ქალთა პირველ კომპლექსურ-მექანიზებულ კომკავშირულ ბრიგადას ხელმძღვანელობს. ბრიგადამ იკისრა მიმაგრებულ 20 ჰექტარზე ჩაის მანქანით მოკრიფოს 80 ტონა ჩაის ფოთოლი.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ბრიგადირი ნაზიბროლა ხასაია, კომკავშირელი მექანიზატორები იპმზე ჯანაშია, მედეა ლაბარია და თინა ჯალაღონია.

ი. ჯოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლენინური კურსით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საგარეო პოლიტიკა ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციებისა და ავტორიტეტის განმტკიცებას მსოფლიო ასპარეზზე, მთელი პროგრესული ძალების კონსოლიდაციას, სერიოზულ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარების შეცვლაზე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის. ყველა კონტინენტზე უაღრესად ფართოდ ცნეს და მხარი დაუჭირეს სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამას, რომელიც ახლა განუხრელად რეალურ საქმეებად ისხამს ხორცს.

ახორციელებს რა თავის საგარეოპოლიტიკურ პროგრამას, სსრ კავშირი ითვალისწინებს არჩევანს, რომელიც დღეს დგას კაცობრიობის წინაშე. — არჩევანს თანამშრომლობასა და კონფრონტაციას შორის, დაძაბულობას შენელებასა და გამწვავებას შორის, სამოლოო ანგარიშით კი არჩევანს მშვიდობის პოლიტიკასა და ომის პოლიტიკას შორის. ამ პირობებში ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრულად იბრძვის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, ყოველნაირად ცდილობს შეანელოს დაძაბულობა, პოლიტიკურად მოაწესრიგოს მწვავე საერთაშორისო პრობლემები. იგი ყოველთვის მოითხოვს ომის კერების ლიკვიდაციას, გადაჭრით გმობს იმპერიალისტთა მიერ ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფას, მტკიცედ იცავს მსოფლიო სოციალიზმის, ყველა თავისი მეგობრისა და მოკავშირის, იმ ხალხების ინტერესებს, რომლებიც ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას ეწევიან.

„აგრესიისადმი მტკიცე წინააღმდეგობა, — ხაზგასმით აღნიშნა ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIV ყრილობაზე, — დღენიადაგ ერწყმება კონსტრუქციულ ხაზს მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისათვის, სხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოებთან ნორმალური, ხოლო სადაც ვითარება შესაძლებლობას გვაძლევს, — კარგი ურთიერთობის დამყარებისათვის. ჩვენ უწინდებურად თანმიმდევრულად ვიცავდით სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. ახლა ეს პრინციპი საერთაშორისო განვითარების რეალურ ძალად იქცა“.

საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები აქტიურ, შეტევითს ბრძოლას რომ აწარმოებენ მშვიდობის განმტკიცებისათვის, ცდილობენ კონკრეტული შინაარსი მიანიჭონ სახელმწიფოთა და ხალხთა თანამშრომლობის იდეებს, ხელი შეუწყონ არსებულ პრობლემათა პრაქტიკულ მოწესრიგებას. მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის ზრუნვით გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის ბაზი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ყველა საარსებო პრობლემის გადაწყვეტის დროს.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული ჩვენი ხალხი სოლიდარობით ეკიდება გმირი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას, უწევდა და კვლავაც გაუწევს მას საჭირო დახმარებასა და მხარდაჭერას. სსრ კავშირი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვიეტნამის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი რეალური გზაა ვიეტნამელი ხალხის იმ უფლების პატივისცემა, რომ თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი გარედან ჩაურევლად და ზეგავლენის მოუხდენლად. ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირი ავითარებს და განამტკიცებს მეგობრობასა და თანამშრომლობას პროგრესულ არაბულ სახელმწიფოებთან. იგი მხარს უჭერს არაბულ სახელმწიფოებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მზად არიან კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის.

ევროპაში შექმნილი ვითარება ხელშემწყობ პირობებს ქმნის, რათა განხორციელდეს სოციალისტური ქვეყნების მიერ წამოყენებული წინადადებანი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე უახლოეს ხანში თათბირის მოწვევის შესახებ. ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარების კონსტრუქციული საფუძველი შეიძლება იყოს ისეთი პრინციპები, როგორიც არის ახლანდელი საზღვრების ურღვევობის განუხრელი დაცვა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობა, დამოუკიდებლობა, ძალისა ან ძალით დამუქრებაზე უარისთქმა.

სსრ კავშირი იღწოდა და იღწვის აზიის სახელმწიფოებთან ფაღრესად კეთილი ურთიერთობის განვითარებისათვის. მას თავის მიზნად ის მიაჩნია, რომ ხელი შეუწყოს აზიაში მშვიდობის განმტკიცებას, დაეხმაროს ამ რაიონის პროგრესულ ძალებს იმპერიალიზმისა და ყველა ფორმის კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აზიაში კოლექტიური უშიშროების სისტემა, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა, შეიძლება ემყარებოდეს ისეთ საწყისებს, როგორიც არის ძალის გამოუყენებლობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში, სუვერენიტეტისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ეკონომიური და სხვა თანამშრომლობის ფართოდ განვითარება სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელსაყრელობის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანასწორუფლებიანი ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებას შეერთებულ შტატებთან. ეყრდნობა რა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს, იგი ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება შეიძლება და სასურველიც არის. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა რომელიმე მესამე ქვეყნებისა თუ ხალხების ხარჯზე, არა მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების საზიანოდ.

საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები თანმიმდევრულად იბრძვიან შეიარაღების შემცირებისა და განიარაღებისათვის. ფართო და ყოვლისმომავლური საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა წინადადებამ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ. სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით შემუშავებულია და ხელმოწერისათვის უკვე ღია კონვენცია, რომელიც კრძალავს ბაქტერიოლოგიურ იარაღს, ითვალისწინებს მთელი მისი მარაგის სრულ ლიკვიდაციას. რაც შეეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონტაქტებს განიარაღების საკითხებში, როგორც საბჭოთა ხალხის, ისე ამერიკელი ხალხის ინტერესებს, საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს შეესაბამება ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაში სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს სახელმწიფოებს, უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ყველაზე დიდი სამხედრო არსენალები აქვთ, დაუყოვნებლივ განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი განიარაღების პრობლემის გადაწყვეტისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას მტკიცედ უჭერს მხარს მთელი საბჭოთა ხალხი, რომლის აზრებსა და მისწრაფებებსაც იგი გამოხატავს. მომძე სოციალისტური ქვეყნები, რომლებთანაც მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება ეს პოლიტიკა, მოძმე კომუნისტური პარტიები, დემოკრატიული საზოგადოებრიობის ფართო წრეები მიესალმებიან და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო საქმიანობას, აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მას მშვიდობისა და პროგრესისათვის, ხალხთა თანამშრომლობისათვის ბრძოლაში. ასეულ მილიონობით კეთილი ნების ადამიანს ჩვენი პოლიტიკა მიაჩნია მთელი თავისი იმედებისა და მისწრაფებების გამოხატულებად. ეს საყოველთაო მხარდაჭერა საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკურ კურსს ანიჭებს უდიდეს ძალას, განამტკიცებს იმ რწმენას, რომ მისი კეთილშობილური მიზნები გაიმარჯვებს.

PRAVDA

17 მაისის მოწინავე.

შეჯიბრეგის მოწინავენი

ზეგეგმითი ჩარხეგი

თბილისი. ვადაზე ადრე შეასრულა ოთხი თვის დავალება კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის (დირექტორი დ. კიკნაძე) კოლექტივმა. ჩარხმშენებლებმა გეგმით გათვალისწინებული 7 მილიონ 770 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვეს 7 მილიონ 776 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინეს 7 მილიონ 769 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, რაც დავალებას 69 ათასი მანეთით აღემატება.

გადაჭარბებით შესრულდა ჩარხების გამოშვებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებიც, ოთხ თვეში გეგმის გადამტკიცით მომხმარებელს გაეგზავნა 35 ცალი სხვადასხვა ჩარხი.

ჩარხმშენებლები თანდათან აფართოებენ შეჯიბრებას სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მეორე კვარტალის შედეგი თვე აქ მაღალი ტემპით დაიწყეს, გადაჭარბებით შეასრულეს მაისის პირველი ნახევრის დავალება.

მატერიალური ნახალისების ფონდში

გათუმი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი აღმავლობით შრომობს. აქ პროდუქციის რეალიზაციის 4 თვის გეგმა 24 აპრილისათვის შეასრულეს და მომხმარებელს გეგმის გადამეტებით დიდძალი პროდუქცია მიაწოდეს.

მას შემდეგ, რაც საწარმო დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადავიდა, სისტემატურად უმჯობესდება მისი ეკონომიური მაჩვენებლები. მატერიალური წახალისების ფონდში 55 ათასი მანეთი გადაირიცხა. იგი იმის მიხედვით განაწილდა, თუ ვინ რა წვლილი შეიტანა საერთო საქმეში.

80 დასახელების პროდუქცია

თბილისი. პარფიუმერიისა და კოსმეტიკის ფაბრიკის (დირექტორი ნ. ყიფიანი) კოლექტივი 80 დასახელების ნაწარმს უშვებს. იგი ჩვენი ქვეყნის უმრავლეს რესპუბლიკებში იგზავნება. აქ სისტემატურად აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, ამიტომაც არის, რომ საწარმომ პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა ვადამდე შეასრულა და დავალებას 167 ათასი მანეთით გადაჭარბა.

ფაბრიკაში დიდ ყურადღებას აქცევენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას და დანახარჯების შემცირებას. მოწყობილობის მოცდენების აღკვეთით, შეჯიბრების გონივრულად მოწყობით ეს მაჩვენებელები სისტემატურად უმჯობესდება. გეგმასთან შედარებით განვლილ ოთხ თვეში შრომის ნაყოფიერება 4,8 პროცენტით აამაღლეს, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდამ 6,7 პროცენტი შეადგინა, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 1000 მანეთით შემცირეს.

ყოველდღიურად ფართოვდება პროდუქციის ასორტიმენტი. მიმდინარე წელს 5 ახალი სახის პროდუქციის ნიმუშები დაამზადეს. წლის ბოლომდე მომხმარებელი კიდევ ორი ახალი სახის ძვირფას პროდუქციას მიიღებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა პარფიუმერიის კომუნისტური შრომის საამქრო, რომლის უფროსია ტ. პეტროპავლოვსკაია. კვლავ ყველას უსწრებენ და დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ბრიგადები, რომელებსაც ც. ქამუშაძე, თ. ნემსიწყვარიძე, კ. ცნობილაძე და ნ. ჭანტურია ხელმძღვანელობენ.

19 მაისი პიონერული ზეიმის დღეა

მეგობრობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ქართული მარგანეცის ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ვრცელსა და ნათელ დარბაზში მხატვრული ასოებით ეწერს დიდი შოთას სიტყვები: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის სიყვარული გზად და ხიდად“...

დიდ სტენდზე გამოფენილია მეგობართა პაკეტები. ბარათები გამოგზავნილია ჩეხოსლოვაკიიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, ლატვიიდან, ესტონეთიდან, ბელორუსიიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან. აქ ნახავთ რიგიდან, აზხაბადიდან, ჯამბულიდან, ფრუნზედან, მახაჩყალიდან, ერევნიდან გამოგზავნილ წიგნებს, სუვენირებს. ჭიათურელი პიონერებიც რიდი რჩებიან ვალში. ისინი მეგობრებს უგზავნიან გულთბილ ბარათებს, ფოტოსურათებს საქართველოსა და ჭიათურის ხედებით, ჟურნალ-გაზეთებს, ყელსახვევებს წარწერებით...

ნათლად სჩანს ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის — „ნაირფერი ყელსახვევის“ საქმიანობა. კლუბს უნარიანად უძღვება პენსიონერი მასწავლებელი მ. კალატოზი. ინტერნაციონალური კლუბი ყველა კეთილი საქმის თაოსანია. მან ჭიათურის რუსულ სკოლასთან დაკავშირა ჩეხოსლოვაკელი მოსწავლე ვერა შინდილარჭოვა. ორენბურგის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეებმა მიმოწერა და სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს ჭიათურელ თანატოლებთან.

ჯამბულელმა მოსწავლეებმა კონკურსი გამოაცხადეს — ვინ დაწერდა საუკეთესო წერილს მეგობარზე. კონკურსში გამარჯვებულის წერილი ჭიათურელმა პიონერებმა მიიღეს. მათ საპასუხო წერილი გაუგზავნეს მეგობრებს.

ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის საქმიანობა უფრო შინაარსიანი ხდება საბჭოთა პიონერიის 50 წლისთავის იუბილესთვის მზადების დღეებში.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 28-ე საშუალო სკოლის პიონერები ხაიუბილეო ზეიმის წინ.

შ. ჩხმატიანის ფოტო.

კარგახანია აქყველ და კონოტოპელ პიონერებს მეგობრობა აქვთ დამყარებული. ამ კარგ საქმეს საფუძველი ქ. კონოტოპის № 10 საშუალო სკოლის ყოფილმა მოსწავლემ, ამჟამად აქყელის (ქობულეთის რაიონი) საშუალო სკოლის მე-6 მეორე კლასის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა ოლგა ლოზინსკაიამ ჩაუყარა.

მას შემდეგ ამ ორი შორეული სკოლის ორი მე-6 მეორე კლასის პიონერებს შორის გულთბილი მიმოწერა არ შეწყვეტილა. ახლახან კი აქყველმა მოსწავლეებმა ამანათი მიიღეს — შორეულმა მეგობრებმა გამოგზავნეს ეროვნული ტანსაცმელი, უკრაინული საბავშვო ჟურნალ-გაზეთები და საკუთარი ხელით შედგენილი ალბომი, რომელშიც აღწერილია ქალაქ კონოტოპის ღირსშესანიშნავი ადგილები.

მ. ზოიძე,
პიონერხელმძღვანელი.

სსრ კავშირთან დადებული ხელშეკრულება რატიფიცირებულია

ბონი, 17 მაისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგმა დღეს მოიწონა კანონპროექტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ. კანონპროექტს ხმა მისცა პარლამენტის 248 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 10 დეპუტატმა. კენჭისყრის დროს თავი შეიკავა ბუნდესტაგის 238 დეპუტატმა.

ხელშეკრულების რატიფიკაცია

ბონი, 17 მაისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგმა დღეს დაამტკიცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება. კანონპროექტს ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ ხმა მისცა 248 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 8 დეპუტატმა. თავი შეიკავა 230 დეპუტატმა.

კრეფენ სწრაფად

ქობულეთი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონში წელს მაის-ივნისის გეგმის მიხედვით მოსაკრეფია 13.989 ტონა ჩაის ნედლეული. გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილია 2.996 ტონა ფოთოლი.

ჩაის კრეფის ტემპი ყოველდღე ძლიერდება. 16 მაისს მოიკრიფა 569 ტონა ფოთოლი, გუშინ ამ ციფრმა 600 ტონას მიაღწია.

ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. გვარაშვილი) მაის-ივნისში უნდა მოკრიფონ 227 ტონა ჩაის ნედლეული. 17 მაისის ჩათვლით ეს დავალება შესრულებული ია 23 პროცენტით. დაგვის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ანდრიადი) პირველი დღიდანვე შეუფერხებლად კრეფენ ჩაის ფოთოლს. მაის-ივნისის დავალება უკვე 20 პროცენტით შესრულებულია.

ქობულეთში ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მეურნეობაა. აქ სეზონის დაწყებიდან მოკრიფეს 287 ტონა ფოთოლი. ეს მაის-ივნისს დავალების 20 პროცენტია.

კრეფას მასობრივად შეუდგნენ ოჩხამურის ჩაის, ჩაქვის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში, ბობოყვათის, ლეღვას, გვარისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

ქრემლში გაღაეცათ

16 მაისს კრემლში ამხანაგებს დიდ ჯგუფს გადაეცა ორდენები და მედლები.

მედიცინის მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ნ. ნ. ბლოხინს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მას გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ მიიღო სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ნ. გრიბოვმა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს პ. პ. ლობანოვს გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ იმის გამო, რომ მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება სოფლის მეურნეობის დარგში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

დაჯილდოებულთა დიდ ჯგუფს გადაეცა ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“. დაჯილდოებულთა შორის არიან საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. ს. მოსკალენკო სსრ კავშირის მინისტრი კ. ი. გალანშინი, მწერალი კ. ა. ფედინი, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა და სხვები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ჯილდოების გადაცემისას გულთბილად და გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა ახალი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის საქმეში. (საკდესი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 16 მაისის ბრძანებულებით ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერიული ორგანიზაციის 50 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭათ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლისა:

ქეთევან ვასილის ასულ ბაკურაძეს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგს.

ტერენტი პორფილეს-ძე ბახტაძეს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

ვლადიმერ ფილიპეს-ძე გობეჩიას — აფხაზეთის პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სახლის დირექტორს.

ნუნუ იოსების ასულ დარჩიას — აჭარის პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სახლის დირექტორს.

ზაქარია იოსების-ძე კრაწაშვილს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქანდაკების კაბინეტის გამგეს.

ეთერ გიორგის ასულ მამარდაშვილს — წულუკიძის მეორე საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს.

ციალა ივანეს ასულ მირესაშვილს — საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრს.

სევერიან მიხეილის-ძე ულენტს — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის განყოფილების გამგეს.

ნინო ერასტის ასულ როდონაიას — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის პედაგოგს.

ეთერ გიორგის ასულ ხუნდაძეს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგს.

ლიდა ივანეს ასულ ძაგანიას — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა:

გურამ პოლიკარპეს-ძე ბახტაძეს — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პასუხისმგებელ მდივანს.

რობერტ მიხეილის-ძე ტურაბოვს — მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მთავარ ადმინისტრატორს.

ნონა მირონის ასულ შუმიაცკაიას — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგ-ორგანიზატორს.

ამავე რიცხვის ბრძანებულებით, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერიული ორგანიზაციის 50 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ციური იპოლიტეს ასული ბარბაქაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ლინოტიპისტი.

რუსუდან ნიკოლოზის ასული გამსახურდია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქციის რედაქტორი.

გიორგი ალექსანდრეს-ძე გიგაური — პიონერიული მოძრაობის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

გიორგი გიორგის-ძე ეპიტაშვილი — ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი.

მზია ალექსანდრეს ასული ერისთავი — ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი.

სოფიო ბესარიონის ასული კაბიანი — მესტიის რაიონის სოფელ მუჟალის რვაწლიანი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ირაკლი გრიგოლის-ძე ლასურავა — საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი.

ნაზი ალექსანდრეს ასული მამაგეიშვილი — მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ცაგო თომას ასული მაჭარაშვილი — ჭიათურის მეექვსე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

მერი იოსების ასული მერაბიშვილი — თიანეთის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ანა სოლომონის ასული მესხიძე — ჟურნალ „პიონერის“ კორექტორი.

ჯიმშერ ვლადიმერის-ძე მუჯირი — საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი.

გალინა ვირილადის ასული პლოტნიკოვა — თბილისის სამოცდამეექვსე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ანო ტეფანეს ასული სადაღაშვილი — გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ძაბული ანდრონიკეს ასული სიჭინავა — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ასუთის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ძაბული გიორგის ასული უჩიძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ალისა მიხეილის ასული ჩიტაია — პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლის დირექტორი.

ნათელა ირაკლის ასული ჯილაური — თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა მხატვრული აღზრდის საქალაქო სახლის დირექტორი.

გულნარა ვალენტინის ასული ჭმუხაძე — ცხინვალის პიონერთა სახლის დირექტორი.

ᲙᲐᲖᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲐᲗᲐ ᲦᲐᲦᲚᲘ

ᲑᲐᲖᲠᲔᲗᲘᲡ მთებში გუგუნებენ მძლავრი ექსკავატორები, ბულდოზერები, მიმოქრიან მძიმეწონიანი ავტომანქანები, იხსნება ფუჭი ქანი და საექსპლოატაციოდ მზადდება წიაღისეულის მდიდარი კერიები...

კაზრეთის მთები... ადამიანების ძველი ადგილსამყოფელი საუკუნეთა მანძილზე ხელშეუხებელი. მშენებელთა ერთ-ერთი ადგილის გათხრისას ნახეს მადნის სახარში ქვები. ნუთუ ძველთა ამუშავებდნენ აქ წიაღისეულ სიმდიდრეებს? ამ კითხვას უახლოეს ხანში გასცემენ პასუხს ჩვენი არქეოლოგები. ვარაუდობენ კი, რომ მადნეულის დამუშავება აქ XII საუკუნეში უნდა ყოფილიყო. მშენებლებმა და გეოლოგებმა მთებში მრავალი სამარხი და ხელოვნური გამოქვაბული ნახეს.

... ეს იყო 1950 წელს... კაზრეთის მიდამოებში გეოლოგებმა საძიებო სამუშაოები ჩაატარეს და აღმოაჩინეს კიდევ პოლიმეტალური მადნების საბადო, რომელიც მდიდარია ბარიტით, ტყვიით, თუთიით, ძირითადად კი სპილენძით.

აღნიშნული მადნების საფუძველზე საპროექტო ინსტიტუტმა „გრუზ გიპროშახტმა“ ლენინგრადის ერთ-ერთ საპროექტო ინსტიტუტთან ერთად შეადგინა მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის პროექტი, რომელიც შემდგომ დამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

სამთო გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორი ფ. ნაჭყებია და მთავარი ინჟინერი ვ. მახარაძე, რომ იტყვიან, დღე-ღამეს კარიერებზე ატარებენ. სხვანაირად ალბათ არც შეიძლება. ახალი ხუთწლიანი გეგმით კომბინატის მშენებლობა 1975 წლისათვის უნდა დამთავრდეს. მცირე დროღა რჩება, გასაკეთებელი კი ბევრია. კარიერი საექსპლოატაციოდ რომ მომზადდეს, 348 მეტრის სიღრმეზე ფუჭი ქანები უნდა მოიხსნას. სულ უნდა მოინგრეს 130 მილიონი კუბური მეტრი ფუჭი ქანი. დღეისათვის მოხსნილი და გადაადგილებულია 8 მილიონი კუბური მეტრი.

საინტერესოა ფუჭი ქანების აღების პროცესი. გრუნტის დამუშავება ხდება ფენების მიხედვით. თითო ფენის სიღრმე 14-18 მეტრია. სულ მოიხსნება 20-მდე ფენა. ფენათა მოსახსნელად გამოყენებულია მძლავრი სამამულო ტექნიკა. ჯერ იქრება ჭაბურღილები, ძღვნილი აქვს სპეციალური გვერდებიც — ერთ-ერთ მათგანში მოთხრობილია ორი მომმე რესპუბლიკის ქალაქების — კიროვაკანისა და რუსთავის მშრომელთა საქმიანობაზე. გაზეთს დაბეჭდილი აქვს სხვა მრავალი თემატური გვერდიც, განყოფილებები, კრიტიკული შენიშვნები, მრავალფეროვანი, ნაირნაირი ამბები.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲐ, იქრის გაზაფხული, რომლის ერთი დღე კვებავს წელიწადს. გაზეთ **„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ“** (პარტიის ხობის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო — რედაქტორი რ. ჯახია) მრავალი წერილი და ინფორმაცია ამ გაზაფხულის დღეებზე, რაიონში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაზე, ადამიანთა შემოქმედებითს შრომაზე გვესაუბრება. თითქმის ყველა ნომერში მოთხრობილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შემქმნელ ადამიანებზე — მხვნელ-მთესველებზე, მექანიზატორებზე, მეჩაიეებზე. საბჭოთა მეურნეობების მუშაკებზე, მეცხოველეებზე. გაზეთი გიამბობთ, თუ როგორ ემზადებიან რაიონში ჩაის კრეფის სეზონისათვის, ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი სამინდის მიღებისათვის.

მრავალფეროვანი მასალებია დაბეჭდილი პარტიული ორგანიზაციების, სოფლის კომუნისტების მიმდინარე საქმიანობაზე.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲐᲠᲒᲝᲕᲐᲜᲘᲐ ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობა, მაგრამ წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა აქ მაინც თამბაქოა. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის თავდადებით იბრძოდნენ შარშან რაიონის მეთამბაქოეები. გადაჭარბებით შესრულდა თამბაქოს დამზადების გეგმა, ნავარაუდევი 3.850 ტონის ნაცვლად დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა 3.865 ტონა ნედლეული. ამ წარმატებას დიდად უწყობდა ხელს პარტიის ლაგოდეხის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო **„ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ“** (რედაქტორი გ. კიკილაშვილი).

გაზეთის ბევრ ნომერში შეხვდებით ანალიზიან მასალებს მეთამბაქეთა შრომაზე, მოწინავე კოლმეურნეებზე, იმათზე, ვინც აქედანვე უყრის საფუძველს უხვ მოსავალს.

მეთამბაქეთა შორის სკკპ 50 წლისთავის შესახვედრად გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ლენინის „როდენობაც, ხარისხიც“. უკანასკნელ ნომრებში გამოჩნდა წერილები პირველ წარმატებებზე. გაზეთი აქვეყნებს სპეციალურ გვერდებს, სპეციალისტთა სტატიებს, რომლებშიც ლაპარაკია თამბაქოს მოვლა-მოყვანის შრომატევად სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციაზე, მოწინავე მეთამბაქოეთა გამოცდილებაზე.

რედაქციას არ ავიწყდება მკაცრად გააფრთხილოს ისინიც, რომლებიც საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩამორჩნენ.

ჩვენმა გაზეთებმა კვლავაც არ უნდა შეანელონ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეადმი მიძღვნილი მასალების გამოქვეყნება. პირიქით, მათი ვალია უფრო გონივრულად გამოიყენონ მშრომელთა მზარდი წინასაიუბილეო აქტივობა, მეტი დახმარება გაუწიონ ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედით დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის. ბრძოლაში.



ᲜᲐᲪᲝᲛᲘᲔᲠ მუშაობას ეწევა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ელექტროტექნოლოგიის, ავტომატიზაციის, მეცხოველეობისა და მექანიზაციის მობილური პროცესების ელექტრიფიკაციის ლაბორატორია, რომელმაც ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ბიუროსთან ერთად ტრაქტორ „ბელორუსის“ ბაზაზე შექმნა ელექტრიფიცირებული ტერასების მომწყობი მანქანის საცდელი ნიმუში. იგი განკუთვნილია 25 გრადუსიან ფერდობებზე საფეხურებიანი ტერასების მოსაწყობად.

სურათზე: ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი ბ. ᲒᲚᲐᲡᲝᲕᲘ ახალი ნიმუშის მანქანასთან.

Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და Ლ. ᲗᲘᲤᲜᲘᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲓᲘᲐᲓᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲕᲗᲔᲚᲘ ჩვენი ქვეყანა, ყოველი საბჭოთა ადამიანი ემზადება დიადი თარიღის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად, სახალხო მეურნეობის მრავალფეროვანი დარგების თვითეული საწარმო, უბანი, ცვლა, ცალკეული მუშაკი ნაბძული არიან ამ თარიღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

როგორც ყოველთვის, ახლაც ამ დიად სახალხო მოძრაობას სათავეში უდგანან და უნარიანად წარმართავენ პარტიული ორგანიზაციები. ისინი დიდ დახმარებას უწევენ მუშათა კოლექტივებს, ცალკეულ მუშაკებს ნაკისრი ვალდებულების, პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ნაყოფიერ შრომაში. ამ კეთილშობილური მისიის შესრულებაში პარტიული ორგანიზაციების აქტიური დამხმარე არიან ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანოები—საქალაქო და რაიონული გაზეთები, რომლებიც არაერთხელ გამოდიან საუკეთესო თაოსნობისა და წამოწყების ინიციატორებად, უმეტრად საბჭოთა ხალხის უროვე მეგობრობას, თავიანთ ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებენ სოციალისტური შეჯიბრების გაწევლა და ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის ამსახველ მასალებს, რაზმავენ ადამიანებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის, დიადი ოქტომბრის მონაპოვრების დასაცავად.

ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ გაზეთი **„ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ“** (საქართველოს კომპარტიის რუსთავის ქალაქკომისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანო — რედაქტორი გ. გელაშვილი) ყოველი ნომერი ინდუსტრიული ქალაქის ყველა ოჯახის სასურველი სტუმარია. იგი ცოცხლად და მიმზიდველად მოუთხრობს მეტალურგებისა და ქიმიკოსების ქალაქის მცხოვრებთ გმირული შრომის ადამიანებზე, ჩქაროსნული დნობის ოსტატებზე, დიდი ქიმიის შემქმნელებზე, მათს დაუცხრომელ შრომაზე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად. გაზეთი სისტემატურად აქვეყნებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, ახალისებს შეჯიბრებაში დაწინაურებულ ბრიგადებს, ცვლებს, უბნებს, ცალკეულ მუშაკებს, ეხმარება მათ საწარმოო გეგმებთან ერთად წარმატებით ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს, რომ თვითეულმა მუშაკმა მიაგნოს თავის ადგილს საწარმოში.

მიმდინარე წელს ბევრი საინტერესო მასალა გამოქვეყნდა სპეციალური რუბრიკებით: „ლენინურ შრომითს ვიბრძვნ“, „მათი სიტყვა და საქმე“, „ყოველი დღე — დამკვრელური“, „ხუთწლედის ერთი დღე ქარხანაში“, „ეკონომიური ცოდნა მასებს“, „მეგობრობამ საზღვარი არ იცის“, „გიყვარდეს მშობლიური ქალაქი“ და სხვ.

8 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „მეგობრული ნაგლინი“, რომელშიც საინტერესოდ არის მოთხრობილი ძღვნილი აქვს სპეციალური გვერდებიც — ერთ-ერთ მათგანში მოთხრობილია ორი მომმე რესპუბლიკის ქალაქების — კიროვაკანისა და რუსთავის მშრომელთა საქმიანობაზე. გაზეთს დაბეჭდილი აქვს სხვა მრავალი თემატური გვერდიც, განყოფილებები, კრიტიკული შენიშვნები, მრავალფეროვანი, ნაირნაირი ამბები.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲐ, იქრის გაზაფხული, რომლის ერთი დღე კვებავს წელიწადს. გაზეთ **„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ“** (პარტიის ხობის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო — რედაქტორი რ. ჯახია) მრავალი წერილი და ინფორმაცია ამ გაზაფხულის დღეებზე, რაიონში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაზე, ადამიანთა შემოქმედებითს შრომაზე გვესაუბრება. თითქმის ყველა ნომერში მოთხრობილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შემქმნელ ადამიანებზე — მხვნელ-მთესველებზე, მექანიზატორებზე, მეჩაიეებზე. საბჭოთა მეურნეობების მუშაკებზე, მეცხოველეებზე. გაზეთი გიამბობთ, თუ როგორ ემზადებიან რაიონში ჩაის კრეფის სეზონისათვის, ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი სამინდის მიღებისათვის.

მრავალფეროვანი მასალებია დაბეჭდილი პარტიული ორგანიზაციების, სოფლის კომუნისტების მიმდინარე საქმიანობაზე.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲐᲠᲒᲝᲕᲐᲜᲘᲐ ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობა, მაგრამ წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა აქ მაინც თამბაქოა. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის თავდადებით იბრძოდნენ შარშან რაიონის მეთამბაქოეები. გადაჭარბებით შესრულდა თამბაქოს დამზადების გეგმა, ნავარაუდევი 3.850 ტონის ნაცვლად დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა 3.865 ტონა ნედლეული. ამ წარმატებას დიდად უწყობდა ხელს პარტიის ლაგოდეხის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო **„ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ“** (რედაქტორი გ. კიკილაშვილი).

ᲙᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ

ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲕᲓᲐ სტუდენტთა საზაფხულო სესიები. გამოცდებისათვის მზადების ცხარე დღეებია. მაგრამ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები არ ივიწყებენ მზადებას „მესამე შრომითი სემესტრის“ ღირსეულად შეხვედრისათვის.

— კომკავშირის კომიტეტის საბჭოზე უკვე ათას ორასზე მეტი განცხადებაა შემოსული, — ამბობს ინსტიტუტის „კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. მამისეიშვილი, — სტუდენტები სურვილს გამოთქვამენ არდადეგები გაატარონ ყამირ მიწებზე, რესპუბლიკის მშენებლობებზე.

ᲧᲐᲛᲘᲠ ᲛᲘᲬᲔᲑᲖᲔ წელს ინსტიტუტის 400 სტუდენტი გაეშგზავრება, ხოლო 800 ახალგაზრდა საქართველოს დამკვრელური ობიექტების მშენებლებს დეხმარება, მაგალითად, 400 სტუდენტისაგან შემდგარი რაზმი იშრომებს თბილისის მეტროპოლიტენის ახალ ტრასაზე საბურთალოს მიმართულებით.



ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ

Ს. ᲢᲔᲠ-ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘᲡ—ᲙᲐᲛᲝᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 90 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ პარტიის დიადი იდეების გამარჯვებისათვის შეუდრეკელმა მებრძოლმა სიმონ ტერ-პეტროსიანმა, რომელიც ცნობილია კამოს სახელით, თავის გმირული მოღვაწეობის 20 წლის განმავლობაში ლენინგრადარული პროფესიონალი რევოლუციონერის სახელი მოიხვეჭა.

ვ. ი. ლენინი, სამოქალაქო ომის დროს კამოს ანდობს რა პასუხსაგებ საბრძოლო დავალებას, ასეთ დახასიათებას აძლევს მას: „...ᲗᲔᲛᲘᲜᲘᲗ კარგად ვიცნობ... როგორც ᲑᲐᲜᲚᲐᲪᲣᲠᲘᲗᲘᲡᲐᲓᲛᲘᲡ, ᲓᲐᲛᲘᲡᲐ და ენერგიულ ადამიანს“.

მ. გორკი მოხიბლული იყო კამოს პიროვნებით, რომლის შესახებ წერდა: „კამოს პირველი შეხვედრისთანავე მხურვალე სიმპათია აღმიძრა გულში, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო მხიბლავდა თავისი რევოლუციური გრძნობის სიღრმითა და სიწრფელით“.

კამო უმთავრესად ბოლშევიკური პარტიის კონსპირაციულ-ტექნიკურ და საბრძოლო-საბრძოლო დავალებებს ასრულებდა. იგი ხშირად სიკვდილის საშიშროების წინაშე იდგა, მაგრამ გმირული შემართებითა და არაჩვეულებრივი გამბედაობით ასრულებდა პარტიის მეტად პასუხსაგებ დავალებებს. „ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი, — წერდა კამო, — ვაკეთებდი რევოლუციისათვის, და პარტიულმა მოღვაწეებმა იციან, რომ ჩემ მიერ შესრულებული ყოველი ახალი აქტი იყო წმიდა პარტიული, რაც მთავარია, მოკლებული პირად ანგარებას“.

სიმონ არშაკის-ძე ტერ-პეტროსიანი დაიბადა 1882 წლის 6 (18) მაისს ქ. გორში. სწავლობდა გორის საქალაქო სასწავლებელში. იქ გამეფებულმა სასტიკმა რეჟიმმა ჭაბუკ სიმონის საპროტესტო განწყობილება გამოიწვია, რისთვისაც 1898 წელს სასწავლებლიდან გარიცხეს.

1901 წელს ს. ტერ-პეტროსიანი სწავლის გასაგრძელებლად ჩამოვიდა თბილისში, სადაც სულ მალე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. თბილისში იგი გაეცნო და დაუახლოვდა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს: იოსებ სტალინს, ფილიპე მახარაძეს, ლადო კეცხოველს, მიხო ბოგორიძეს, მიხეილ და ზაქარო ჩოდრიშვილებს, რომლებისგანაც პირველი რევოლუციური წრითობა მიიღო. 1901 წელსვე ს. ტერ-პეტროსიანი რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წევრად მიიღეს, იმავე ხანებში მას ი. სტალინმა შეარქვა კამო, რომელიც მისი პარტიული სახელი გახდა.

კამო გატაცებით სწავლობდა სოციალ-დემოკრატიულ წრეში. იგი თანდათან ეუფლებოდა პოლიციასთან ბრძოლის ხერხებს, სწავლობდა იატაკქვეშ მუშაობის კონსპირაციულ ტექნიკას.

1901-1903 წლებში თბილისში ეწყობა მუშათა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები, რომლებშიც კამო აქტიურ მონაწილეობას იღებს. მან აგრეთვე მონაწილეობა მიიღო 1903 წლის მარტში ბაკინსკის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობის მოსაწვევად ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გატარებაში.

1903 წლის ზაფხულში თბილისის მუშათა საყოველთაო გაფიცვის დროს, კამოს უშუალო ხელმძღვანელობით ხარფუხში ეწყობა რსდმპ კავკასიის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოები, ცენტრალური საქვაბე, მასალის საწყობი, სარაიონო ელექტრონქვესადგური, საყოფაცხოვრებო კომბინატი, ადმინისტრაციული შენობა, ცენტრალური სასაწყობო მეურნეობა.

მომავალი ფერადი მეტალურგიის ცენტრი სხვა დამხმარე საწარმოებსაც საჭიროებს. მაგალითად, აქ უკვე შენდება ბეტონის გამომშვები კვანძი, ინერტული მასალების გამომშვები დანადგარი, რკინაბეტონის ნაკეთობათა პოლიგონი და სხვ. რა სამუშაოები მიმდინარეობს ტექნოლოგიური სქემების გამოცდისა და კადრების მომზადების მხრივ? კომბინატის ხელმძღვანელებმა ფ. ნაჭყებიამ და ვ. მახარაძემ თქვეს: „ამჟამად მოქმედებს და ერთობ სასარგებლო მუშაობას ეწევა საცდელი გამამდიდრებელი ფაბრიკა. სწორედ აქ ხდება ტექნოლოგიური სქემების გამოცდა და კომბინატისათვის მომავალში საჭირო კადრების მომზადება.

უდავოდ საყურადღებოა ავტოკლავური ნახევრადსაქარხნო დანადგარი, სადაც კომბინატი საქართველოსა და ლენინგრადის მთელ რიგ სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტებთან ერთად ატარებს საცდელ სამუშაოებს მადნეულის სპილენძის კონცენტრატიდან სპილენძის ფბვნილისა და სპილენძის ნაკეთობების მისაღებად.

მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის ძირითადი პროდუქცია ეს სპილენძის გამამდიდრებელი კონცენტრატი იქნება, რომელიც სუფთა სპილენძის მისაღებად სხვა ქარხნებს უნდა გაეგზავნოს. ამჟამად დადებითად არის გადაწყვეტილი საკითხი მადნეულში გამდიდრებული კონცენტრატის თვით მადნეულშივე გადამუშავებისა და ქართული სპილენძის მიღების შესახებ. ქ. ორჯონიკიძის ინსტიტუტმა „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲒᲘᲞᲠᲝᲪᲒᲘᲛᲔᲢᲐᲚᲛᲐ“ შეადგინა სპილენძის მიღების საამქროს გაფართოების პროექტი და დასამტკიცებლად გაეგზავნა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს.

...ერთი წუთითაც არ წყდება შემოქმედებითი შრომა ᲙᲐᲖᲠᲔᲗᲘᲡ მთებში. შენდება ხუთწლედის პირმშო — ფერადი მეტალურგიის კენტრი, რომლის პირველი რიგი 1974 წელს უნდა ამუშავდეს, ხოლო მეორე რიგი — 1975 წელს.

Ზ. ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ საკ. კორ.

ᲡᲐᲓ ᲕᲘᲧᲘᲓᲝᲗ ᲗᲝᲮᲘ, ᲑᲐᲠᲘ?!..

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის რაიონებში, თბილისში საკმაოდ არის რკინა-კაკვულისა და ხაოჯახო საქონლის გასაყიდი მაღაზიები. სამწუხაროდ, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, როგორიც არის თოხი, ბარი, წალდი, ხეხილის ხელის შესასხურებელი და შესაფრქვევი აპარატები და სხვა საქონელი, არ იშოვნება, საინტერესოა რატომ?

რედაქციამ ამ შინაარსის წერილები მიიღო ბორჯომის რაიონის ახალდაბის მცხოვრებ Ვ. ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲫᲘᲡ, თბილისის მცხოვრებ პენსიონერის Ვ. ᲑᲝᲒᲝᲜᲘᲫᲘᲡᲐ და სხვებისაგან.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ამ საკითხით დაინტერესდა.

დღეს ვინ არ იცის, რომ მექანიზაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გადიდების საფუძველია. მძიმე შრომა მანქანებმა შეცვალა. მაგრამ არის ზოგიერთი სამუშაო, რომელიც მხოლოდ ხელით, წვრილმანი ინვენტარით უნდა სრულდებოდეს.

ვისაც ხეხილისა და ვენახის ნარგავები აქვს, მისთვის აუცილებელია ხელით შესასხურებელი და შესაფრქვევი აპარატი, თოხი, ბარი, ვისაც სიმინდის ნათესები, ჩაის პლანტაციები აქვს, მისთვის აუცილებელია თოხი, ჩაის სასხლავი მაკრატელი. საოჯახო ოცგილოვრამიანი სასწორი, ჩაის საკრეფი კალათი, ნიედლი ჩაის ჩასაყრელი ყუთი და სხვ.

ამ მხრივ ვინ უნდა მოამარაგოს? ცეკავშირს, როგორც წესი, ევალება წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით უზრუნველყოს კოლმეურნეობები. საბჭოთა მეურნეობები კი — **ᲑᲐᲠᲘᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘ** „საქსოფლტექნიკამ“.

უნდა ითქვას, რომ ცეკავშირის გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მხვნელ-მთესველთა, მეჩაიეთა, მევენახეთა, მეხილეთა და მებოსტნეთა უზრუნველყოფას წვრილი ინვენტარით.

ვინ უნდა დაამზადოს დასახელებული წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი? საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში შემავალმა წარმოებებმა.

შარშან ცეკავშირის გამგეობამ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს აცნობა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისათვის საჭიროა სულ მცირე ასი ათასი ცალი სხვადასხვა სახის თოხი. სამეურნეო წელი დამთავრდა და მიიღეს მხოლოდ 53 ათასი ცალი. ხეხილის შესასხურებელი ხელის აპარატი მიღებულია მხოლოდ 1.440 ცალი. ეს მაშინ, როდესაც საჭიროა სულ მცირე 150 ათასი ცალი.

ასეთივე მდგომარეობაა წალდის, ქართული ნაჯახის, ქართული ბარის, გოგირდის შესაფრქვევი აპარატის, სამყნობი და სასხლავი დანის, ბაღის ხერხისა და სხვა წვრილმანი ინვენტარის მხრივ.

ვისაკუბრეთ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამბ. ნ. ჯავახიძეს. მან გულისტკივილით გვიამბო, სოფლის მეურნეობის მშრომელთა წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით დაკმაყოფილების შესახებ ყოველ წელს ვაწუხებთ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და სხვა დამამზადებელ ორგანიზაციებს, მაგრამ რატომღაც ჯერჯერობით სათანადო შედეგს ვერ მივაღწიეთო.

ცეკავშირის გამგეობამ წელსაც გაითვალისწინა მომხმარებელთა მოთხოვნილება და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიწერა: „როგორც ცნობილია, რესპუბლიკის რაიონების სპეციფიურობა ნიადაგის დამუშავების საქმეში არ იძლევა საშუალებას გამოყენებულ იქნას ქარხნული წესით დამზადებული ერთი სახის თოხი. ამის გამო ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ გამგეობა გთხოვთ დაავალოთ რაიმრეწველობის კომბინატებს სამრეწველო ზონაში ხმარებაში არსებული თოხის ნიმუშების მიხედვით დამზადონ ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ სისტემის კოოპერაციზაციისათვის ჩასაბარებლად თოხები შემდეგი რაოდენობით:

მახარაძის სამრეწველო კომბინატმა 10 ათასი ცალი, ᲨᲣᲥᲘᲓᲘᲡ სამრეწველო კომბინატმა 10 ათასი ცალი. და სხვა ᲦᲠᲜᲘᲡᲘᲔᲑᲘᲗ. სულ ყოველწლიურად — 82 ათასი ცალი თოხი“.

როცა რაიონებში ვერ შოულობენ წესიერ წვრილ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, ბუნებრივია, მომხმარებლები შესაძენად ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲘᲗᲐᲜ ხოლმე დედაქალაქს.

სამწუხაროდ, მათი იმედი არ მართლდება.

მართლაც უდავოდ კარგი საქმე გაეკეთებინა თბილმრეწვეტრობის ხელმძღვანელებმა, რომ ვაჟა-ფშაველას გამზირზე გახსნეს წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღების სპეციალური მაღაზია. ამას მომხმარებლები სიხარულით შეხვდნენ. მაგრამ ჯერ მაღაზია მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებას.

— ხეხილის შესასხურებელი ხელის აპარატი გაქვთ?

— არა.

— გოგირდის შესაფრქვევი აპარატი?

— არა, ასეთი შარშან და წელს მაღაზიაში თვალით არ გვინახავს.

— თოხი, ქართული ბარი?

— არა.

— ბაღის ხერხი?

— არა.

— წალდი?

— არა.

— საწყობში გეკნეზათ ცოტა დარჩენილი და გთხოვთ უარს ნუ გვეტყვით.

— რასა ბრძანებთ! ჩვენთან საწყობს რა უნდა? — გაკვირვებით უპასუხებენ მომხმარებლებს 36-ე მაღაზიის თანამშრომლები ა. მარსაგიშვილი და შ. შარიქაძე.

მაღაზიას სასაწყობო მეურნეობა არა აქვს, მიღებული სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი ერეულად ყრია იმ ოთახში, სადაც უნდა გაიყიდოს. როგორც ჩანს, მაღაზიის გამგეს ა. ოგანეზოვს ყოველივე ეს ნაკლებად აწუხებს. აქ მიღებულ ინვენტარსაც სათანადოდ ვერ უვლიან.

შემდეგ ვესტუმრეთ საკოლმეურნეო მოედანზე მდებარე თბილმრეწვეტრობის № 112 მაღაზიას (დირექტორი ვ. აბაშიძე). მართალია, აქ ძირითადად ვაჭრობენ ელექტრო და საოჯახო საქონლით, თიხის ნაწარმით, ხუსტი ხელსაწყოებით, ლაქ-საღებავებით და რკინა-კვეთილის ნაწარმით, მაგრამ აბა მოიკითხეთ წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი: თოხი, ბარი, ცელი, ნამგალი, ან შაბიამანი, გოგირდი და სხვა საქონელი, — მაშინწვე შემოგთავაზებენ.

ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ სადაც დაინტერესებაა მომხმარებელთა სურვილებს ითვალისწინებენ, იქ შედეგიც კარგია.

ვფიქრობთ წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით სოფლის მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება არც ისე წვრილმანია.

Შ. ᲭᲝᲮᲣᲐ.

ᲯᲘᲥᲓᲝ

— ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲒᲐᲠᲣᲜᲢᲘᲐ. (საქინფორმის კორ.). სოფელ თბილისოფში გაიმართა ფიცარანი. პირველთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებისა. იგი მიეძღვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს ვარდამავალი დროშის გადაცემას.

დროშა, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია თხილნარის სასოფლო საბჭოს მიენიჭა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ჯგუფის გამგემ ი. ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ გარდამავალი წითელი დროშა გადასცა თხილნარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ი. მიქელაძეს.

სესიაზე გამოვიდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დავითაძე, რომელმაც პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აჭარის პროფსაბჭოს სახელით მიულოცა თხილნარის სასოფლო საბჭოს მშრომელებს მაღალი ჯილდო და გამოთქვა იმედი, რომ ისინი კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

შარშან თხილნარელებმა დაამზადეს 349 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — საგვიმო დავალებაზე 168 ტონით მეტი. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ციტრუსებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების დავალებანი.

სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე წარმატებით მიმდინარეობს კაპიტალური მშენებლობა.

სესიის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა სასოფლო საბჭოს ყველა მშრომელისადმი, რომელშიც მოუწოდებენ ვადამდე შესრულონ მიმდინარე წლის დავალებანი, ღირსეულად შეხვდნენ დიად იუბილეს.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 17 მაისის ბრძანებულებით საქართველოს ს

ახალგაზრდა დღეს

ინდოჩინელ პაჭრიოტთა საბრძოლო წარმატებანი

პარიზი, 17 მაისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები განაგრძობენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ცენტრალურ კლატოზე.

პატრიოტთა სატანკო ქვეგანყოფებმა გუშინ გაარღვიეს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი დაცვის ხაზზე, რომელიც მოწინააღმდეგემ შექმნა ქალაქ კონტუმის გარშემო. თვით ქალაქში ცეცხლი დაუშინეს საიგონის დივიზიის საკომანდო პუნქტს.

განთავისუფლების ძალებმა არტილერიის დარტყმები მიაყენეს მოწინააღმდეგის სამხედრო ბაზას პლეიკუს ჩრდილოეთით 10 კილომეტრზე და მარიონეტული არმიის გარნიზონს თვით პლეიკუში. აფეთქებულია დიდი ნავთობსაცავი. პატრიოტებმა დაანგრიეს ორი ხიდი № 19 გზაზე. რომელიც პლეიკუს აკავშირებს ზღვისპირა ბინღინის პროვინციის კიუინენის ნავსადგურთან.

ჩრდილოეთ სექტორში შეუპოვარი ბრძოლები გრძელდება „ბასტონის“ სამხედრო ბაზის გარშემო პიუს სამხრეთ-დასავლეთით 16 კილომეტრზე. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები უტეევენ მოწინააღმდეგეს № 13 გზის რაიონში. გაფთრებული ბრძოლების ასპარეზია კვლავ ქალაქი ანლოკი და ტენთანის რაიონი ანლოკსა და საიგონს შორის.

კამბოჯის განთავისუფლების ძალებმა ხელთ იგდეს კიროვონგზის სამხედრო ბაზა ტაკეოს პროვინციაში. ბრძოლები გრძელდება აგრეთვე ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სადაც მოწინააღმდეგე ამაოდ ცდილობს ხელთ იგდოს ბნომპენ-საიგონის გზა.

პანოი, 17 მაისი. (საკდესი). ლაოსის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. როგორც კოსან პატეტ ლაოს საგენტო იტყობინება, იანვარ-აპრილში პატრიოტულმა ძალებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 13.800-ზე მეტი ჯარისკაცი, მათ შორის 4.265 ტყილანდელი დაქირავებული, ჩამოაგდეს და დააზიანეს მოწინააღმდეგის 109 თვითმფრინავი, ხელთ იგდეს 3.800-მდე ერთეული სხვადასხვა იარაღი.

ნიუ-იორკი, 17 მაისი. (საკდესი). ამერიკის ავიაცია მასირებულად ბომბავს სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიას. წუხელ „ბ-52“ თვითმფრინავებმა მოაწყვეს 19 რეიდი, ძირითადად ქალაქების ანლოკისა და კონტუმის რაიონებში.

პანოი, 17 მაისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, ამერიკის ავიაციამ 14 მაისს დანაღმა ჩრდილოეთ ვიეტნამის სამპის პროვინციის მდინარეები და დაბომბა ქვეყნის მთელი რიგი რაიონები. საგარეო საქმეთა სამინისტრო გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აღნიშნულ სამხედრო აქციებს და მოითხოვს, რომ შეწყდეს ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ხელყოფს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და უშიშროებას.

ნიუ-იორკი, 17 მაისი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო საგენტოთა საიგონიდან მიღებულ ცნობებში აღნიშნულია, რომ სამხრეთ ვიეტნამის ზოგიერთ რაიონში საომარ მოქმედებაზე კვლევას ახდენს ნვიმების სეზონის დადგომა. დაბალი ღრუბლიანობა ზღუდავს ტაქტიკური ავიაციის გამოყენებას, ფრონტის ზოგიერთ უბანზე შესუსტდა საბრძოლო მოქმედების ინტენსივობა.

პარიზი, 17 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციებმა გამოაქვეყნეს წინადადება იმის თაობაზე, რომ განაახლონ ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირის მუშაობა და მორიგი სხდომა გამართონ ხუთშაბათს, 18 მაისს.

განცხადებაში, რომელიც გააკეთა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირზე, ხაზგასმულია, რომ თათბირის ჩაშლისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ცალმხრივად შეწყვიტა განუსაზღვრელი ვადით მისი მუშაობა.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციამ გამოქვეყნებულ განცხადებაში ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი სურვილი, რომ მშვიდობიანი გზით გადაიჭრას ვიეტნამის პრობლემა, და შესთავაზა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას განაახლონ პარიზის თათბირის მუშაობა ვიეტნამის შესახებ.

ვაშინგტონი

შეხვედრა სახელმწიფო დეპარტამენტში

17 მაისი. (საკდესი). სახელმწიფო მდივანმა უ. როჯერსმა მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი და ესაუბრა მას.

რ. ზიგლერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 17 მაისი. (საკდესი). თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა რ. ზიგლერმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა „ბეგლების შესახებ მისაღებ განგრძობს მზადებას პრეზიდენტ ნიქსონის გასამგზავრებლად საბჭოთა კავშირში“.

კორესპონდენტებს აცნობეს, რომ 20 მაისს პრეზიდენტი გაფრინდება ზალცბურგში (ავსტრია), სადაც გაჩერდება მოსკოვის მიმავალი.

ზიგლერმა უპასუხა კითხვებზე იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც შეიძლება შეეხონ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან პრეზიდენტ ნიქსონის შეხვედრის დროს, და დაიმოწმა პრეზიდენტის 1972 წლის 9 თებერვლის მოხსენება კონგრესისადმი: „შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა 70-იან წლებში“. ეს მოხსენება, თქვა მან, წარმოდგენას იძლევა ორი ქვეყნის ურთიერთობაში არსებულ პრობლემებსა და შეერთებული შტატების პოზიციაზე.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ, როგორც ვაშინგტონში ფიქრობენ, ზოგიერთ საკითხზე დაისახა შეთანხმების მიღწევის პერსპექტივები. გაზეთი, კერძოდ, წერს სავაჭრო შეთანხმებაზე, რომელიც მთავრდება და შეთანხმებაზე სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის შესახებ, რომელსაც, როგორც გაზეთი აღნიშნავს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ორივე ქვეყნისათვის, ისე მთელი მსოფლიოსათვის.

ეპშ-ბანგლადეშის ურთიერთობა

ვაშინგტონი, 17 მაისი. (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკამ დამამთავრეს მოლაპარაკება ელჩების დონეზე დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ეს გამოაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯ. ურრენმა.

პრეზიდენტმა ნიქსონმა, თქვა მან, მუჯიბურ რაჰმანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აუწყებს ამერიკის გადაწყვეტილებას ცნოს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა.

კოსმონავტები კონგრესში

ვაშინგტონი. 17 მაისი. (საკდესი). „აპოლონ-16“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის წევრები, რომლებიც ახლახან იყვნენ მთვარეზე, ეწვივნენ ამერიკის კონგრესს.

კოსმონავტებმა — „აპოლონ-16“ ხომალდის მეთაურმა ჯონ იანგმა, ჩარლზ დიუკმა და თომას მატინგლიმ წარმომადგენლთა პალატის მეცნიერებისა და ასტრონავტიკის კომისიაში დამსწრეთ უამბეს, თუ როგორ იფრინეს მთვარეზე, რა გამოკვლევები აწარმოეს დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე. მათ უჩვენეს დიაპოზიტივები, კინოფილმები, რომლებზეც აღბეჭდილია დედამიწა კოსმოსიდან, აგრეთვე მთვარის ზედაპირის ფოტოსურათები.

მაინილა

კ. რომულოს განცხადება

17 მაისი. (საკდესი). ფილიპინების საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლოს რომულომ მთავრობის სხდომაზე, რომელიც განიხილავდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საკითხებს, განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებთან ფილიპინების სამხედრო შეთანხმების ბევრი ასპექტი არ შეესაბამება თანამედროვე მდგომარეობას როგორც მსოფლიოში, ისე ქვეყნის შიგნით.

ამჟამად, თქვა კ. რომულომ, შტატებში წარმოებს მოლაპარაკება სამხედრო შეთანხმების შეცვლის შესახებ, რათა იგი არ ზღუდავდეს ქვეყნის სუვერენიტეტს.

ბუჭუმბურა

ვითარება

ნორმალური ცხოვრება

17 მაისი. (საკდესი). თუმცა ბურუნდის სამხრეთ რაიონებში მთავრობის ჯარები ჯერ კიდევ დაკავებენ და იპყრობენ ამაოსნინანდელი ამბოხების მონაწილეებს, რომლებიც მთებში მიიმალნენ, მაგრამ მთელი ქვეყნის ყურადღება ახლა მიპყრობილი აქვს მშვიდობიან შრომითს ცხოვრებას.

რაიონებში, რომლებიც ამბოხების დროს დაზარალდნენ, არემონტებენ გზებს, აგვარებენ მოსახლეობის მომარაგებას. რესპუბლიკაში დაიწყო ყველაზე მთავარი საეკსპორტო კულტურის — ყავის მოსავლის აღების სეზონი, დაიწყო აგრეთვე ბამბისა და ბრინჯის მოსავლის აღება. აღნიშნავს რა მიმდინარე მომენტის თავისებურებას, მთავრობის ბიულეტენი „ფლეშ-ენფორო“ ხაზს უსვამს, რომ ამბოხების ლიკვიდაციის შემდეგ რესპუბლიკამ მთელი ძალღონე უნდა მოახმაროს ეკონომიკის განვითარებას.

ამავე დროს ქვეყანაში გაიშალა რეაქციული პუტჩის მხსვერპლთათვის დახმარების გაწევის კამპანია. აგროვებენ სახსრებს სურსათის, ტანსაცმლის, მედიკამენტების შესაძენად. დიდი დატვირთვით მუშაობენ ბურუნდის საავადმყოფოები და სამედიცინო პუნქტები. დაჭრილ მშვიდობიან მცხოვრებთა გადარჩენას ბევრ ძალ-ღონეს ახმარენ ამ დღეებში საბჭოთა ექიმები, რომლებიც ბუჟუმბურის, კიტეგისა და ნგოზოს ჰოსპიტლებში მუშაობენ.

ნაირობი

ტანზანარივეში მღელვარეობაა

17 მაისი. (საკდესი). მალაგასის დედაქალაქში კვლავ მეტად დაძაბული ვითარებაა. როგორც ტანზანარივედან იუწყებიან, დღეს ქალაქის რატუშის შენობასთან გაიმართა ქალაქის მცხოვრებთა დემონსტრაცია პოლიციის რეპრესიების მსხვერპლთა სოლიდარობის ნიშნად.

სახელდახელოდ აღმართული ტრიბუნა, რომელზეც ფრიალებდა შავი სამგლოვიარო ალამი გასული კვირის დამლევს პოლიციელთა ტყვიით დაღუპული 30 სტუდენტის სსოვნის ნიშნად, აღმართეს უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, დედაქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა მშრომელებმა.

სტუდენტთა მოძრაობის აქტივისტთა ძირითადი მასა, რომლებიც პოლიციამ დაუპატიმრა, 16 მაისს შუადღისათვის ჯერ კიდევ ნოსი-ლავეის კუნძულის საპატიმროში იყო. მასობრივი მღელვარების გამო ქვეყანაში შემოღებული საგანგებო წესების დეკრეტის საფუძველზე რესპუბლიკის პრეზიდენტმა ცირანანამ დღეს მალაგასის შეიარაღებული ძალების გენერალური ინსპექტორი გენერალი ჟილ ანდრიამახაზო დანიშნა ტანზანარივეს დროებით სამხედრო გუბერნატორად.

ბონი

გუნდესტაგში კამათის წინ

17 მაისი. (საკდესი). დაიწყო ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა, რომლის ყურადღების ცენტრშია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის საკითხი.

კამათის დაწყებადანვე ფრაქციაში მოხდა აზრთა შეჯახება იმათ შორის, ვისაც მიაჩნია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებანი სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან უნდა მოიწონონ, და ვინც ამ ხელშეკრულებების ძალაში შესვლის მოწინააღმდეგედ რჩება.

ოპოზიციის ლიდერმა რ. ბარცელმა დეპუტატებს ურჩია მხარი დაუჭიროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებებს სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან, და განაცხადა, რომ წინააღმდეგია კენჭისყრის დროს ფრაქციული ძალდატანებისა.

ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარე შტრაუსი თავს დაესხა ხელშეკრულებებს და მოსთხოვა თავის მომხრეებს „არავითარ შემთხვევაში“ არ მისცენ ხმა მათ. (შტრაუსის ქრისტიანულ სოციალური კავშირი ფრაქციაში წარმოდგენილია 50 დეპუტატით. მთელ ფრაქციას ჰყავს 247 დეპუტატი).

სიცხე ინდოეთში

დელი. 17 მაისი. (საკდესი). უჩვეულო სიცხეა ინდოეთის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში, რამაც ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. მარტო უტარ პრადეშის, ბიჰარისა და დასავლეთ ბენგალიის შტატებში სითბური დაკვრისაგან დაიღუპა 108 კაცი.

ოთა მესხია



ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სკკპ წევრი 1945 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე და ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთა ამბაკოსძე მესხია.**

ჩვენს რიგებს უდროოდ გამოაკლდა ქართული ისტორიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის, აკადემიკოს ს. ჯანაშიას და აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ღირსეული მოწაფე და მათი საქმის განმგრძობი.

შ. მესხია დაიბადა 1916 წლის 27 აპრილს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობჯაში; ზუგდიდის სატყეო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1933 წლიდან სწავლა გაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1937 წელს. 1937-1938 წლებში მუშაობდა სკოლის დირექტორად ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში, 1938-1941 წლებში კი გადიოდა ასპირანტურის კურსს აკადემიკოს ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით. 1941-1942 წლებში **შ.** მესხია მონაწილეობდა საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, დაჭილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენითა და მედლებით.

1942 წელს **შ.** მესხიამ მუშაობა დაიწყო მეცნიერ-თანამშრომლად აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელმის ისტორიის ინსტიტუტში, სადაც იმავე წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1948 წლიდან კი მუშაობდა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე.

1951-1953 წლებში **შ.** მესხია მივლინებული იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში, სადაც 1955 წლის იანვარში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქალაქები და სალაქაო წყობილება ფეოდალურ საქართველოში“.

1956 წლიდან **შ.** მესხია არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ და ერთდროულად აგრძელებდა მუშაობას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1961 წლიდან იგი იყო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი. 1967 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იმავე წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

შ. მესხიას სახელთან დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკვანძო საკითხების შესწავლა და დამუშავება, როგორც ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება, ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია, ქართული წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია, საქართველოს ისტორიის სწავლების მეთოდიკა და სხვ.

შ. მესხიას გამოკვლევებმა „ქალაქები და სალაქაო წყობილება ფეოდალურ საქართველოში“ (რუსულ ენაზე), „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“, აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა ნაშრომებმა დიდი წვლილი შეიტანა ფეოდალური საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიური წყობილების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, კლასობრივი ბრძოლისა და სხვა საკითხების შესწავლაში.

შ. მესხია ხანგრძლივი დროის მანძილზე ეწეოდა ფართო ისტორიოგრაფიულ და წყაროთმცოდნეობითს კვლევა-ძიებას, მან კრიტიკულად შეისწავლა და გამოაქვეყნა დიდმნიშვნელოვანი საისტორიო წყარო „ძეგლი ერისთავთა“, ასევე მასალები ეკონომიური ისტორიის, კლასობრივი ბრძოლისა და სამხელეო წყობის შესახებ გვიანფეოდალურ საქართველოში. **შ.** მესხიას კალამს ეკუთვნის ცნობილი ნარკვევები ქართველი ისტორიკოსების ლეონტი მროველის, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსების, ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონების, ნიკოლოზ დადიანის შესახებ, აგრეთვე სპეციალური მონოგრაფია თავისი მასწავლებლის აკადემიკოს ს. ჯანაშიას ცხოვრებასა და მეცნიერულ მოღვაწეობაზე.

უკანასკნელ ხანებში **შ.** მესხია იკვლევდა X-XIII საუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის რთულ საკითხებს, მან ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა [illegible] საქართველოს [illegible] უმნიშვნელოვანეს ფაქტს, როგორიც იყო დიდგორის ბრძოლა. ამ ნაშრომში მან სრულყოფილად გააშუქა დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურულ-ეკონომიური ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მასვე ეკუთვნის სპეციალური ნაშრომი შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაზე.

სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში **შ.** მესხია მუშაობდა თამარის ეპოქის საქართველოს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ისტორიის საკვანძო საკითხებზე.

შ. მესხია აქტიურად მონაწილეობდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულის შექმნაში, რედაქტორობდა ამ ნარკვევების მეორე ტომს და იყო მისი მესამე ტომის მთელი რიგი ნაწილების ავტორი. მასვე ეკუთვნის მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ნარკვევები საქართველოს ისტორიაზე, რომლებიც გამოქვეყნებულია რუსულად, ინგლისურად, ფრანგულად და რომელთა გერმანული ტექსტი სულ ახლახან გამოქვეყნდა.

შ. მესხია იყო თანაავტორი საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოსი, რომელიც 1958 წელს გამოიცა, აგრეთვე თანაავტორი საშუალო სკოლების საქართველოს ისტორიის ამჟამად მოქმედი სახელმძღვანელოებისა. **შ.** მესხია დაუცხრომლად ებრძოდა საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესებისათვის, იყო ამ საქმის ერთ-ერთი ენერგიული პროპაგანდისტი და ხელისშემწყობი.

შ. მესხია იყო გულისხმიერი პედაგოგი, ახალგაზრდების ღირსეული აღმზრდელი, მისი ხელმძღვანელობით და მზრუნველობით აღზრდა არაერთი სპეციალისტი, რომელთაგან ბევრი წარმატებით მოღვაწეობს ქართული ისტორიოგრაფიის სარბელზე.

მრავალმხრივ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად **შ.** მესხია ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, არაერთი სხვა სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული ისტორიის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სპეციალური სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიის მეთოდური ათვის თავმჯდომარე, საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე და სხვ.

პრინციპულობა მეცნიერულ მოღვაწეობაში, თავმდაბლობა და დიდი გულისხმიერება ადამიანებთან დამოკიდებულებაში **შ.** მესხიას დამახასიათებელი თვისებები იყო; **შ.** მესხიას სახელი მუდამ იცოცხლებს ქართველ მეცნიერთა, მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისა და მეგობრების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; საქართველოს საისტორიო საზოგადოება.

დამკრძალავი კომისიისაგან

პროფესორ **შ.** ა. მესხიას სამოქალაქო პანაშვიდი შედგება განსვენებულის ბინაზე გერცენის ქ. № 1-ა 18, 19, 20 V საღამოს 8 საათზე, 21 V 2 საათზე პანაშვიდი შედგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში (რ. ჭავჭავაძის პროსპ. № 1). გამოსვენება 3 საათზე, უნივერსიტეტიდან. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

დაკრძალვა მოხდება სახელმწიფოს ხარჯზე.

ა. ე. კორნეიჩუკის დაკრძალვა

კიევი, 16 მაისი. (საკდესი). უკრაინის დედაქალაქი დღეს დიდი მწუხარებით გამოეთხოვა გამოჩენილ საბჭოთა დრამატურგს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, სოციალისტური შრომის გმირს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს ალექსანდრე ეგოროვიჩ-ძე კორნეიჩუკს.

ა. ე. კორნეიჩუკის დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის დელეგაციები, სოციალისტური ქვეყნებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ძაძებშია უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა სამმართველოს კლუბი. მაღალ კვარცხლბეკზე დადგმულია კუბო განსვენებულის ცხედრით. განუწყვეტელ ნაკადად მოდიან კიეველი მშრომელები, განსვენებულის მრავალი მეგობარი და ამხანაგი.

გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია. საპატიო ყარაულში დგებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. შჩერბიცკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. პ. ლიაშკო, უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

სამგლოვიარო პროცესია მიეგზავნება ბაიკოოს სასაფლაოსკენ. ათიეულ ათასობით კიეველი გამოვიდა ქუჩებში საყვარელ მწერალთან გამოსათხოვებლად.

სასაფლაოზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი.

კუბო საფლავში ჩაუშვეს. გაისმის მხედრული სალუტის ზალპები. ყელის სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ჰიმნები. მწყობრით ჩაიარეს მეომრებმა.

დიდმნიშვნელოვანი ფორუმი

17 მაისს ბათუმში მუშაობა დაიწყო სამეცნიერო სიმპოზიუმმა თემაზე „დასავლეთის ქვეყნების მუშათა კლასი და ახალგაზრდობის მოძრაობის აქტუალური პრობლემები“. სიმპოზიუმი მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭომ „მუშათა კლასი და მასობრივი ზოგად-დემოკრატიული მოძრაობანი კაპიტალისტურ ქვეყნებში თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინსტიტუტმა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტმა. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობენ თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერები — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. ტიმოფეევი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ნ. კოვალსკი, ა. ბალკინი, ი. ტუგანოვი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ქვაჩახია და სხვები, აგრეთვე უკრაინის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, მოსკოვის, ლენინგრადის, დონის როსტოვის, ტომსკისა და სხვა ქალაქების ახალგაზრდა მეცნიერები და ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკები.

ფორუმზე ჩამოვიდნენ აგრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ოტო რაინგოლდი და ელენე ბერგი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ადამ ლომატა, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის თანამედროვე სოციალური თეორიების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ასენ კოჟაროვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტების პროფესორები მიკლოშ ხაბუდა და ტიბორ ხალაია, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მაზილუ დიმიტრუ, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ფრანტიშე ხორვატ და სხვები.

სიმპოზიუმის მონაწილენი მოისმენენ შვიდ მეცნიერულ მოხსენებასა და თანამოხსენებას ახალგაზრდობის მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე, მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიაში. (საქინფორმი).

დუბნელ ფიზიკოსთა დიდი აღმოჩენა

მენდელეევის ცხრილში ახალი ელემენტი გაჩნდა

დუბნის ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის ფიზიკოსთა თვალსაჩინო აღმოჩენების ამბავს ბევრჯერ მოუყვია მსოფლიო. სენსაციის ღირსია ხელოვნური 105-ე ქიმიური ელემენტის „გაჩენაც“, რომელიც ბირთვულ რეაქციათა ლაბორატორიაში დაახლოებულს აკადემიკოს გ. ნ. ფლეროვის ხელმძღვანელობით. 16 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა დუბნელ ფიზიკოსთა ეს დიდი მეცნიერული აღმოჩენა.

დ. ი. მენდელეევის ცხრილის შესაბამისად ფიზიკოსებმა ბირთვულ რეაქციათა დახმარებით დაასინთეზეს ტექნეციუმი, პრომეთიუმი, ასტატიუმი, მოგვიანებით კი კიდევ თორმეტი ტრანსურანული ელემენტი. ასე შეივსო ხისტემის ცარიელი ადგილები და ბევრად გაფართოვდა მენდელეევის ტაბულის საზღვრები.

105-ე ელემენტის დასინთეზების კვლევა დუბნაში ჯერ კიდევ 1967 წელს დაიწყო. თეორია უკარნახებდა მეცნიერებს, რომ ეს ქიმიური ელემენტი სტაბილური არ არის, ესე იგი წარმოშობისთანავე წამზე ბევრად ნაკლებ დროში იშლება. ამიტომ მისი „დაჭერა“ შესაძლებელია ძალიან მოკლე დროში.

პირველი ექსპერიმენტები ასე ეიწყო: 95-ე ელემენტის—ამერიციუმის ატომებს „დუბნინს“ ნეონის ატომები, რომლებსაც აჩქარებდნენ ნაწილაკების მძლავრი აჩქარებელით. შეიქმნა და აშენდა რთული დანადგარი, რომელიც დღე-ღამეში 200 ათასამდე ცალეული ექსპერიმენტის მოწყობის საშუალებას იძლეოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, თეორიული პროგნოზების თანახმად, დუბნელმა ფიზიკოსებმა აღნიშნეს ალფა-ნაწილაკების გამოყოფა. მაგრამ, სამწუხაროდ, ექსპერიმენტებს ხელს უშლიდა სამიზნეებელში დარჩენილი ტყვიის უმნიშვნელო ნარევები გამოწვეული გამოსახვებანი.

მეორე სქემით 105-ე ელემენტის სამუშაოები განახლდა 1969 წელს. უკვე ამ წლის ოქტომბერში მკვლევართა ჯგუფმა ი. ც. ოგანესიანის ხელმძღვანელობით მტკიცედ დაადგინა 105-ე ელემენტის იზოტოპის თვითნებური დაყოფა. ერთი დღეღამის განმავლობაში ახალ დანადგარზე მეცნიერებმა აღმოაჩინეს მისი რამდენიმე ათეული ატომი.

ამასობაში დუბნელმა მეცნიერებმა შეძლეს თავიდან მოეშორებინათ ხელისშემშლელი ტყვიის ნარევები და გაემეორებინათ ექსპერიმენტები აღმოჩენის დასადასტურებლად. დაადგინეს, რომ 105-ე ელემენტის დაშლის პერიოდი დაახლოებით ორი წამია. ელემენტი ან იყოფა ორ ნამსხვრევად, ან გამოჰყოფს ალფა-ნაწილაკს (ჰელიუმის ბირთვს). 105-ე ელემენტის ქიმიური თვისებები, როგორც ნაწინასწარმეტყველია კიდეც დ. ი. მენდელეევის პერიოდული კანონით, ტანტალის თვისებების მსგავსია.

რამდენადმე მოგვიანებით 105-ე ელემენტი დაასინთეზეს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ლოურენსის სახელობის რადიაციულ ლაბორატორიაში, რისთვისაც კალიფორნიუმის (ატომური ნომერი 98) სამიზნეებელ დაასხივეს აზოტის (ატომური

ალიარება და სიყვარული

იაკობ ტრიპოლსკის შემოქმედებით საღამოზე



პოპულარული ქართველი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი იაკობ ტრიპოლსკი სამი ათეული წელია თავისი ცხოველმყოფელი და უზადო ხელოვნებით, სცენაზე შექმნილი მაღალმხატვრული სახეებით სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს. მის სახელთან დაკავშირებულია კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მრავალი შემოქმედებითი წარმატება.

მსახიობის გმირთა გალერეა მეტად მრავალფერადოვანია. მის მიერ შექმნილი სახეები — რომანტიკული, ღრმად ფსიქოლოგიური, ტრაგიკული თუ მკვეთრად სახასიათო — გამოირჩევა შინაგანი სისავსითა და შთაგონებით. მსახიობს ახასიათებს სცენური ფორმის საოცარი გრძნობა და ნათელი, მკაფიო მეტყველება.

დასამახსოვრებელი სახეები შექმნა ი. ტრიპოლსკიმ სპექტაკლებში „ჭირვეული ქმრის მორჯულება“ (პორტენზიო), „მეთორმეტე ღამე“ (მალვოლიო), „მაია წყნეთელი“ (მანუჩა), „ხეები ზეზეურად კვდებიან“ (მაურისიო), „ორი პოემა“ (ალუდა ქუთელაური), „ურიელ აკოსტა“ (ურიელ აკოსტა), „დონ კარლოსი“ (ფილიპე II), „მთვარის მოტაცება“ (კაც ზვამბაია), „მოკვეთილი“ (ბახა) და ბევრი სხვა. ნაყოფიერია მისი მოღვაწეობა ქართულ კინოხელოვნებაშიც.

მსახიობის დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა რეჟისორმა, საქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ. ი. ტრიპოლსკის შემოქმედებაზე, თეატრსა და კინოში მის მიერ შექმნილ სახეებზე დამსწრეთ ესაუბრა თეატრმცოდნე ვ. კიკნაძე.

საარაგვის მადლიანი მიწის, მშობლიური დუშეთის რაიონის მშრომელთა სახელით იუბილარს მიესალმნენ პედაგოგი ი. გოგოლაური და სოფელ ბურსაჭირელი კოლმეურნე გ. ჩოხელი.

იუბილარის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა სცენები სპექტაკლებიდან „მოკვეთილი“, „ვისია ვისი?!“, „მთვარის მოტაცება“, „ხეები ზეზეურად კვდებიან“, „მე ვხედავ მზეს“. ნაჩვენები იქნა ნაწყვეტები კინოფილმებიდან „ქალის ტვირთი“, „მანანა“, „წყალდიდობა“.

მსახიობს გულთბილად მიესალმნენ, დღეგრძელობა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს თბილისისა და რესპუბლიკის თეატრების წარმომადგენლებმა: გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ, ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ქავთარაძემ, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ჟორდანიამ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სახელით რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. წულუკიძემ, გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ს. ასლანიშვილმა და სხვებმა.

მსახიობს სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავი მიუსოცავს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმისა და კულტურის სამინისტროს სახელით თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძემ, სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გ. კობიაშვილმა, სახელმწიფო ფილარმონიიდან ა. გელოვანმა, პოეტმა ჯ. ნიჟარაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა მ. თბილელმა, ვ. ყიფშიძემ, გ. მახარაძემ და სხვებმა. საიუბილეო საღამოში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. ბერგვაძე, ნ. მკურვალიძე, ე. მირიანაშვილი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეოკალური ანსამბლი.

დასასრულ იაკობ ტრიპოლსკიმ მადლობა გადაუხადა საზოგადოებრიობას გულთბილი შეხვედრისა და მისი შემოქმედების მაღალი შეფასებისათვის.

რ. მუხიგულაშვილი.

სურათებზე: სცენები კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლებიდან. ზემოთ — ო. ჩხეიძის „ვისია ვისი?“; დათა — ი. ტრიპოლსკი (წინა პლანზე მარჯვნივ), ქვემოთ — ა. აღლაძის „ზღელვარე დღეები“, ვიქტორი — ი. ტრიპოლსკი, ნელი — დ. ჭიჭინაძე.

თანამედროვეობის მხარდამჭერ

რეჟისორთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სხდომათა დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა **რეჟისორთა რესპუბლიკური კონფერენცია,** რომელიც მიეძღვნა თანამედროვე ქართული რეჟისურის საკითხებს. კონფერენცია მოაწყეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, თეატრალურმა საზოგადოებამ და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. ქართული საბჭოთა რეჟისურის ძირითად პრობლემებზე და ამოცანებზე — ილაპარაკა მომხსენებელმა, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ. მან გაიხსენა ქართული რეჟისურის დიდი ტრადიციები. სცენის ბრწყინვალე რეფორმატორის, კოტე მარჯანიშვილის, დიდი რეჟისორის სანორო ახმეტელის შემოქმედება. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა თანამედროვე ქართული რეჟისურის ორგანიზაციულ საკითხებსა და შემოქმედებით დონეზე, იმ პრობლემებსა და ამოცანებზე, რომლებიც დასახულია ჩვენი თეატრების წინაშე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა რეჟისორთა კადრების აღზრდის საკითხს.

შემდეგ მოხსენებათა გამო გაიმართა საინტერესო სკა-ბაასი. სიტყვა ითხოვეს: ბ. ბაბოთა — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, კონფერენციის საპატიო სტუმარი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი გ. ტოვსტონოგოვი, თეატრმცოდნე ვ. ქართველიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორი ვ. ეგბლიაშვილი. თეატრმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ჟორუშაძე, მოსკოველი სტუმარი, თეატრის კრიტიკოსი ი. რიბაკოვი, ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი გ. ქავთარაძე.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ჩიათურის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. ალექსიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ე. გუგუშვილი, ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი გ. ლაიძე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორები რ. სტურუა, თ. ჩხეიძე, სოხუმის ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრის ოფიციანტი ხელმძღვანელი რეჟისორი ნ. ეშბა, მოხარდ-მაყურებელთა თეატრის მთავარი რეჟისორი თ. მაღალაშვილი, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი ლ. პაქსაშვილი, დრამატურგი ლ. მილორავა, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორები მ. ელჭუხიძე, ს. მრევლიშვილი, თეატრმცოდნე ნ. არველაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე.

კონფერენციამ მიიღო სათანადო დადგენილება. (*„კომ.“ კორ.*).

უცხოელებმენ ქართველი ოსტატები

საბჭოთა კინოხელოვნების ქართველ ოსტატებს 16 მაისს სტუმართმოყვარულად დაუთმო თავისი ეკრანები საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქმა. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი შემოქმედებითს ანგარიშს დედაქალაქის მაყურებელს აბარებენ მხატვრული დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების შემქმნელები. ტრადიციისამებრ მოსკოველებთან ერთად ქართველი კინემატოგრაფისტების ნაწარმოებებს ნახავენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მაყურებლები.

სრულიად საკავშირო ეკრანზე წარმოდგენილ ფილმებს შორის არის ახალი მხატვრული სურათები „სემირამიდას ბაღები“, რომელიც ეძღვნება უკრაინელი და ქართველი კოლმეურნეების მეგობრობას (რეჟისორი ს. დოლიძე) და შესანიშნავი მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი კინოსურათი „ფიროსმანი“ (რეჟისორი გ. შენგელაია).

საფესტივალო ეკრანზე ნაჩვენები იქნება საქართველოს კინოსტუდიის საუკეთესო ფილმები, რომლებიც შეიქმნა მოკავშირე რესპუბლიკების ეკრანის ოსტატებთან, და უწინარეს ყოვლისა რუსული კინო ოსტატებთან შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგად. მაყურებლები კვლავ შეხვდებიან ბასული წლების კინოსურათების გმირებს — რ. ჩხეიძის მამაც „ჯარისკაცის მამას“, შმენეველთა ბრიგადას გ. მგელაძის ფილმიდან „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, მილიციის გაბედულ მუშაკებს გ. კალატოზიშვილის სურათიდან „მე — გამომძიებელი“, კეთილ, კარგ საბჭოთა ადამიანებს თ. აბულაძის „სხვისი შვილებიდან...“ უჩვენებენ აგრეთვე დოკუმენტალისტთა ნამუშევრებს, რომლებიც ეძღვნება რესპუბლიკის ისტორიასა და დღევანდელობას, მის საუკეთესო ადამიანებსა და თვალწარმტაც ბუნებას. (*საკ. ინ. კორ.*).

ფრთხილად: ბავშვებია!

ქუჩა — ეს საშიშია? რა ცოდნაა საჭირო ბავშვისათვის ავტომობილიზმის ეპოქაში? როგორ გადავაქციოთ თამაში სკოლად?

აჭ ყველაფერი ისეა, როგორც ცხოვრებაში: მოსაფატებული გზები, რომლებიც გამოყოფილია უშიშროების გარკვეული ხაზებით, მკაფიო შუქნიშნები, ადგილეთები სხვადასხვა დონეზე. მარეგულირებელსაც კი ქუდი და სამხრეები ისეთი აქვს, როგორც ნამდვილ ავტოინსპექტორს. მაგრამ მარეგულირებელიც და მძღოლებიც, გულმოდგინედ რომ ატრიალებენ საბავშვო ავტომობილებისა და ველოსიპედების პედალებს, მხოლოდ შემოდგომაზე წავლენ სკოლის პირველ კლასში. თქვენ, რასაკვირველია, უკვე მიხვიდეთ, რომ ლაპარაკია მოძრაობის წესების საბავშვო სათამაშო მოედნის შესახებ. შეგვიძლია მოვიყვანოთ მისი მისამართიც: ლენინგრადის სკოლამდელი სანატორიუმი „სოლნიშკო“. მოედანს სათამაშო ვუწოდეთ, მაგრამ არსებითად, ეს არა მარტო თამაშია, ეს ბავშვებისათვის მისაწვდომი და მიმზიდველი ფორმით საგზაო ცოდნის გადაცემაც არის.

ავტომობილიზაციის ტემპები სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის განვითარების დაწყებულ მეცხრე ხუთწლედში (1971-1975 წწ.) გვიკარნახებს გადაუდებელ ღონისძიებებს საგზაო მოძრაობის უსაშიშროების გადიდებისათვის. ავტომობილიზაციის ახალი ღონისძიებისა უნდა მოვამზადოთ არა მარტო ქალაქები და გზები, მოძრაობის მოსახურების საწარმოები და რეგულირების ტექნიკა. მისთვის უნდა მოვამზადოთ — და ეს, შეიძლება ითქვას, მთავარია — მთელი მოსახლეობა. როგორც ზოგჯერ სპეციალისტები ამბობენ, აღვსარდოთ მეტორიზაციის ინტელექტი.

რას ნიშნავს ეს? გადავცეთ ადამიანს საჭირო მოცულობით ცოდნა და წარმოდგენანი გზაზე უსაშიშროების პირობების შესახებ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩავუნერგოთ მას მთახოვნილება ყველგან და ყველაფერში ასრულებდეს მოძრაობის დადგენილ წესებს. და აქ უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მიღებული არიან ბავშვები და მოზარდები. მოზრდილ ადამიანს ხომ შეუძლია თავისი უცოდინარობის კომპენსირება ცხოვრებისეული გამოცდილებით მოახდინოს. ბავშვს კი ასეთი გამოცდილება არა აქვს, მისთვის საჭიროა მტკიცე ცოდნა და ჩვევები. და საზოგადოება მოვალეა იზრუნოს ამისათვის.

საბჭოთა კაეშირში ბავშვთა ჯარმონიული განვითარების ბევრ მხრეს მუდამ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ, შეიძლება ითქვას, მოძრაობის უსაშიშრობის საქმეში საყოველთაო სწავლება მხოლოდ უახლესნელ წლებში ჩამოყალიბდა გარკვეულ სისტემად.

უკვე აქსიომად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ცხოვრებისათვის საჭირო მეტ წილ ინფორმაციას ადამიანი რვა წლის ასაკამდე ითვისებს. შემდეგ ამ ცოდნის მხოლოდ გაღრმავება ხდება. მტკიცეა არ ესაჭიროება იმ ფაქტსაც, რომ ბავშვები მეტად ცნობისმოყვარენი, დაკვირვებულნი არიან და ავტომობილისადმი გაძლიერებულ ინტერესს იჩენენ. ეი სწორედ ამ გარემოებათა გათვალისწინებით ეწყობა იმისათვის მუშაობა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებსა და უმცროსი ასაკის მოსწავლეებს ჩავუნერგოთ ცოდნა მოძრაობის უსაშიშრობის დარგში.

სათამაშო მოედნები ახლა შექმნილია ჩვენი ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში. ხშირად მათ „ავტოქალაქებსაც“ ეძახიან. აქვე უნდა ვთქვათ, წელს ეწყობა სრულიად საკავშირო კონკურსი საუკეთესო საბავშვო ავტოქალაქზე, რამაც მისი ორგანიზატორების ჩანაფიქრით ამ საქმეში არქიტექტორთა, ინჟინერთა, პედაგოგთა ახალი ძალები უნდა მიიზიდოს.

თამაშში ბავშვები ადვილად ითვისებენ ქუჩისა და გზების ქცევის წესებს.

მაგრამ ავტოქალაქები, სამწუხაროდ, სსრ კავშირის მეტ ნაწილში ხუთნაური საქმეა და მოქმედებენ მხოლოდ წლის თბილ პერიოდში. ამიტომ მთავარ საზრუნავს კისრულობენ საბავშვო ბაღები. საუბრები მოძრაობის უსაშიშრობის თემაზე ისევე სავალებულო ვახდა სკოლამდელი განათლების პროგრამაში, როგორც საუბრები მუსიკასა და ლიტერატურაზე. საბავშვო გამომცემლობებმა გამოუშვეს მეთოდური სახელმძღვანელები საბავშვო ბაღების აღმზრდელთათვის, სამაგიდო თამაშობანი ბავშვებისათვის. საბავშვო სათამაშოების ყოველ მაღაზიაში იშოვნით თუნდაც ერთი სამაგიდო თამაშობას, რომელიც აცნობს ბავშს მოძრაობის წესებს, საგზაო ნიშნებს, ავტომობილების მარკებს. მაგრამ ყოველივე ეს, ცხადია, შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც მოსამზადებელი კლასი „მოძრაობის უსაშიშრობის მეცნიერების“ სკოლაში სერიოზულად გავლის წინ.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრო განიხილავს იმ საკითხს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური სკოლების 1-5 კლასებში შემოღებულ იქნას საგანი „საგზაო მოძრაობის წესები“. აქამდე ასეთი მეცადინეობა წარმოდგა ეგრეთწოდებული კლასგარეშე მუშაობის წესით, ბავშვთიერების შემდეგ. ახლა საქმე ეხება მათს შეტანას სასწავლო პროგრამაში, სწავლის საათების „ცხრილში“. დასაწყისი უკვე არის — სახალხო განათლების მოსკოვის საქალაქო განყოფილებამ და ასეთმავე განყოფილებებმა ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში 1971 წელს შემოიღეს სკოლებში საგზაო მოძრაობის წესების სწავლება ათასათიანი პროგრამით. მოცულობა მასწავლებლების სათანაო მომზადება ეიაწყეს პედაგოგიურმა უმაღლესმა სასწავლებლებმა.

რა თქმა უნდა, სასკოლო განათლების სტადიაშიც თამაშის ელემენტი უარყოფილი როდია. მაგრამ ეს არის უფრო სერიოზული თამაშობანი. საბავშო საგზაო-საგრანსპორტო ტრავმატიზმის შემცირებაში დიდი როლი აქვს ღათმობილი სრულიად საკავშირო თამაშობა-ვიქტორინას „სეტეფორს“ („შუქნიშანს“), რომელშიც ყოველ წელს მონაწილეობას იღებს ორ მილიონზე მეტი მოსწავლე. ამ კონკურსში, რომლის პრიზია ავტომობილი „მოსკვიჩი“, ერთმანეთს ეჯიბრებიან სკოლების კოლექტივები. და არა მარტო მოძრაობის წესების ცოდნაზე, არამედ მათს ზუსტად დაცვაზეც



ცხოვრებაში: სპეციალური ეიური აწარმოებს ამა თუ იმ სკოლის მოსწავლეების მიერ დაშვებულ ყველა დარღვევათა და მით უმეტეს მათი მიზეზით დაშვებულ საგზაო შემთხვევათა აღრიცხვას. თამაშობის ფინალი, რომელზეც შეიყრებიან საუკეთესო სკოლების ნაკრები გუნდები, გაიმართება ცნობილ პიონერულ ბანაკ „არტეკში“, შავი ზღვის ნაპირზე. პიონერთა რაზმების შეჯიბრება საგზაო მოძრაობის წესების საუკეთესო ცოდნაზე მიმდინარეობს რესპუბლიკებშიც: უკრაინაში, ყაზახეთში, ლიტვაში, ლატვიაში და სხვ.

უფროსი კლასების მოსწავლენი „გამოდიან“ საბავშვო საავტომობილო ტრასებზე, რომლებიც ბევრ ქალაქში შექმნილია ავტოსატრანსპორტო საწარმოების, ავტოჭარხლების მუშაკთა, ავტოსაგზაო ინსტიტუტების სტუდენტთა მხარდაჭერით. აქ ბავშვები შეისწავლიან ავტომობილისა და მოტოციკლის მოწყობილობას, სწავლობენ მანქანების ტარებას, უფროსთა მეთვალყურეობით ეწევიან მათს ტექნიკურ მომსახურებას. საბავშვო ავტოტრასები უკვე არსებობს მოსკოვში, ხარკოვში, მინსკში, იეკვსკში, სარატოვში, მურმანსკსა და ათობით სხვა ქალაქში. საბავშვო არდადეგების დღეებში ნორჩი მძღოლები მოზრდილთა ხელმძღვანელობით აწყობენ მრავალდღიან გადარბენებს, რომლებშიც მათი ოსტატობა და ცოდნა სერიოზულად მოწმდება რეალურ პირობებში. ამას უნდა დავძინოთ, რომ ყოველ ზაფხულში ნორჩი მძღოლები თავს იყრიან ტრადიციულ სრულიად საკავშირო შეჯიბრებებზე ტარების ოსტატობაში, რომლებსაც აწყობს ჩვენს ქვეყანაში პოპულარული ჟურნალი „ზა რულიომ“.

დასასრულ, საჭიროა მოვიხსენიოთ ბავშვებთან მუშაობის ისეთი ფორმაც, როგორც არის „ნორჩ ავტოინსპექტორთა“ რაზმები, რომლებიც შედგენილია უფროსი კლასების მოსწავლეთაგან. მაგალითად, ეს ტენდენციაა ასეთი სასკოლო პატრულები შექმნილია უკვე დაახლოებით ხუთი წლის წინათ და აერთიანებენ რამდენიმე ათას პიონერსა და კომკავშირელს, ავტოინსპექციის ნებაყოფლობით თანაშემწეებს. სანამ მიიღებდნენ განმასხვავებელ „რეგალიებს“ (ცისფერ სამკლაურს, სამკერდე ნიშანს და ავტოინსპექტორის მოწმობას), ბავშვები აბარებენ სპეციალურ გამოცდას. რაში მდგომარეობს მათი მუშაობა? ისინი ეწევიან საპატრულო სამსახურს სკოლებთან და საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებებთან, ეხმარებიან პატარებს ქუჩაში გადასვლისას ან ავტობუსში ჩასხდომისას, აწყნარებენ ცელქებს.

მთელ ამ მუშაობას წარმართავენ შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი. მაგალითად, გასულ წელს მიღებულ იქნა სპეციალური გადაწყვეტილება კომკავშირული ორგანიზაციებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი მუშაობის შესახებ ბავშვთა საგზაო სატრანსპორტო ტრავმატიზმის თვალიან ასაკიანებლად. უკვე განხორციელებული ან ჯერ კიდევ დასახული საქმეები, რომლებზეც ჩვენ მოგითხრეთ, წარმოადგენენ იმ დიდი პროგრამის ნაწილს, რომელიც მიიღეს ამ ორგანიზაციებმა ბავშვებისათვის საგზაო უსაშიშრობის წესების სწავლების სრულყოფის მისაღწევად.

გრ. ზინგერი.

ჟურნალ „ზა რულიომ“-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი.
(ახალი ამბების სააგენტო).

ეძღვნება კიონერიის 50 წლისთავს

ნორჩ შემოქმედთა გამოფენაგე

50

თბილისის სამხატვრო გალერიაში გაიხსნა რესპუბლიკური გამოფენა „ნორჩთა შემოქმედება“, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი.

დამთვალიერებლების თვალწინ ზღაპრული სამყარო იშლება, მრავალფეროვანია გამოფენის თემატიკა. გხიბლავთ ბავშვური გულუბრყვილოობით შესრულებული ნახატები, ნორჩ ტექნიკოსთა თუ ხელმარჯვე ოსტატთა ნამუშევრები, სანტერესოა ფოტომოყვარულთა კუთხე.

ფერთა და თემათა სიუხვით იზიდავს დამთვალიერებელს ნორჩ მხატვართა ნამუშევრები. ეკა აბულაძე 7 წლისაა, მაგრამ მას დიდი ხანია იცნობენ თანატოლები. ფანტაზიის საოცარი უნარით და ხედვით, უშუალოთ არის გაჟღენთილი მისი ნამუშევრები.

აქვეა ზურაბ ველიძის, დავით ფანჩვიძის, ნინო ჩხაიძის, მზია ბუცხრიკიძის, მერაბ ჩხეიძის, 5 წლის ქეთინო ნიხუას ნახატები. მნახველთა ინტერესს იწვევს ხეზე კვეთილობა. „ქართული დარბაზი“ გამოუკვეთია ვლადიმერ ბარატოვს. კარგად შეუსრულებია ქართული ორნამენტები გივი ცხვედაძეს.

ყურადღებას იქცევს ნორჩი ოსტატების მიერ შექმნილი ნამუშევრები. ფოთელ მოსწავლე იური პისკაროვს საესკადრო ნაღმოსნის მოდელი შეუსრულებია, ქუთაისელ ვლადიმერ დადუნაშვილს და ვოვა ნებიერიძეს—სამხედრო ხომალდი, თბილისელ გია ფირცხალავას კი ვეშაპებზე მონადირე გემის მოდელი.

სხვებს არც ნორჩი ავიატორები ჩამორჩებიან. გამოფენაზე გამოტანილია სხვადასხვა თვითმფრინავისა და შვეულმფრენის მოდელები.

დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებიან საინტერესო კონსტრუქციის მონორელსური გზის მოქმედ მოდელთან. იგი ააწყეს გიორგი კაჩლაშვილმა და ალან გაზაევმა.

თბილისის 62-ე საშუალო სკოლამ გამოფენაზე წარმოადგინა ბრძმედის მაკეტი. იქვეა ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის I საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ გაკეთებული ელექტრიფიცირებული დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემა.

დარბაზის ერთ კუთხეში სხვადასხვა მელოდია გაისმის. აქ ნორჩი ტექნიკოსები დამთვალიერებლებს აცნობენ მათ მიერ აწყობილ ფერადმუსიკალურ რადიოკომბაინს (ნუგზარ კავსაძე), ტელევიზორს (სერგო მაკარიანი), ელექტროგიტარებს.

გამოფენაზე წარმოდგენილია ნორჩ ფოტომოყვარულთა სურათები. ისინი გვიზიდავენ თავიანთი ოსტატობით. რამდენი რამ შეუმჩნევია მათს მაზვილ თვალს. ასეთია „ბუნების სასწაული“ (ა. ადამია), თუ „ორი მეგობარი“ (ჯ. ჯეირანაშვილი), „გაბუტული“, „ტანმოვარჯიშე“ (მ. შერეზადაშვილი).

ნორჩთა ნამუშევრების გამოფენა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

ნინო ულენტი.

სურათზე: ზემოთ—ნორჩი ტექნიკოსების ნამუშევართა ერთი კუთხე. ქვემოთ, მარცხნიდან — თბილისის I გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლის მ. ცომაიას, I კლასელის ეკა აბულაძის და თბილისის 65-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლის მზია ბუცხრიკიძის ნამუშევრები.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲐᲠ

რეჟისორთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე

მაღალი შეფასება

თამაზ გამყრელიძე — ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი

ამერიკის ლინგვისტურმა საზოგადოებამ 1971 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე, ენათმეცნიერებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის ერთხმად აირჩია თავის საპატიო წევრად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი თამაზ გამყრელიძე.

სპორტი

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

პრეტენდენტის უპირატესობით

რიგა. (ტელეფონით). ნ. გაფრინდაშვილ-ა. კუშნირის მატჩის მესამე პარტიამ გვიჩვენა, რომ პრეტენდენტს ადრინდელმა წარუმატებლობამ გული არ გაუტეხა. კუშნირმა შავებით ისევ თავის ძირითად იარაღს — სიცილიურ დაცვას მიმართა. ამის საპასუხოდ გაფრინდაშვილმა კვლავ შესთავაზა მეტოქეს პაიკის შეწირვა. შავების მეთერთმეტე სვლამდე განმეორდა პირველ პარტიაში გამოყენებული გაგრძელება, მაგრამ ახლა კუშნირმა უკეთესად ითამაშა. ბრძოლა კვლავინდებურად მძაფრ ხასიათს ატარებდა, სადაც მეტოქეები საინტერესო ტაქტიკურ შესაძლებლობებს ქმნიდნენ.

მეთოთხმეტე სვლაზე გაფრინდაშვილმა მეტიზმეტად გაბედულად ითამაშა მეფით. ამის ნაცვლად მას შეეძლო კუს სვლით შეენარჩუნებინა ნათელი პოზიციური უპირატესობა. მეცხრამეტე სვლაზე პრეტენდენტმა გვერდი აუარა საინტერესო შახსს და გაცვალა მსუბუქი ფიგურები. ამის შედეგად დაფაზე წარმოიშვა ლაზიერებისა და ეტლების მწვავე ენდშპილი, სადაც შავებს რამდენადმე უკეთესი შესაძლებლობები ჰქონდათ. გაფრინდაშვილს შეეძლო მტკიცე თავდაცვის ორგანიზება მაგრამ 27-ე სვლაზე მძიმე შეცდომა მოუვიდა. მან მეტოქეს უმნიშვნელოვანესი ცენტრალური ხაზი დაუთმო. პრეტენდენტმა დაუყოვნებლივ ისარგებლა ამ შესაძლებლობით — ლაზიერით და ეტლით მან სახიფათოდ შეუტია სუსტად დაცულ თეთრ მეფეს. გაფრინდაშვილი მძიმე ცაიტნოტში აღმოჩნდა, რაც მას უაღრესად იშვიათად ემართება. თეთრების ორმოცდამეერთე სვლის შემდეგ პარტია გადაიდო. კუშნირმა ჩაიწერა სვლა. მას მოსაგები პოზიცია აქვს. დღეს ეს გადადებული პარტია უნდა დასრულდეს.

III პარტია

ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∂f3 e6 3. d4 cd 4. ∂:d4 ∂c6 5. ∂c3 d6 6. ج2 ∂f6 7. ج3 ج7 8. f4 ج7 9. ∂db5 ლb8 10. g4 a6 11. ∂d4 d5 12. ed ∂:d5 13. ∂:d5 ج:h4+ 14. ∂ef2 ed 15. ლf1 ج:f6 16. ლf2 0-0 17. g5 ج:d4 18. ج:d4 ج:f5 19. ج:d3 ج:d3 20. cd ∂:d4 21. ლ:d4 ლc7 22. ეac1 ლa5+ 23. ეc3 ეac8 24. ეe1 ეc3 25. ლ:c3 ლa4 26. ლe5 ეc8 27. ეc1 ეe8 28. ლd6 ლd4 29. ეc7 ლ:b2+ 30. ეc2 ლd4 31. ეc7 ლe3+ 32. ∂ef2 d4+ 33. ∂ef4 b5+ 34. ∂ef5 ლ:d3 35. ლ:d4 ლc2+ 36. ∂ef6 ლ:a2 37. f5 ლ:h2 38. ლd7 ლg1+ 39. ∂ef5 ეf8 40. ეc8 ლ:g5 41. ∂ef:a6 შავებმა ჩაიწერეს 41-ე სვლა.

გადადებული პოზიცია: თეთრები — ∂ef2, ლd7, ეc8, ∂f5 (4). შავები — ∂efg8, ლg5, ეf8, პ-ბი: b5, f7, g7, h7 (7).

გ. გამრეკელი.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

□

ფეხბურთი

ᲨᲘᲜᲐᲚᲘ 18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ?

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ცნობილი გახდა, რომ ბელგიამ უნდა უმასპინძლოს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ თამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ დადგენილი არ არის ნახევარფინალების თარიღი, დაასახელეს ფინალისა და მესამე ადგილისათვის ორთაბრძოლის ადგილი და თარიღიც. **ფინალური მატჩი უნდა შედგეს ბრიუსელში 18 ივნისს, ხოლო შეხვედრა მესამე ადგილისათვის ერთი დღით ადრე აქვე.**

ნავარაუდევია, რომ ნახევარფინალური წყვილების მატჩები გაიმართოს 15 ივნისს ბრიუსელსა და ლიეჟში.

ყველა საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას უეფა გამოაცხადებს 19 მაისს.

მეტოქე ცნობილია

ᲑᲣᲨᲘᲜ გვიან ღამით ბელგრადში გაიმართა მატჩი ევროპის ჩემპიონატის მეოთხე ნახევარფინალისტის გამოსარკვევად უნგრეთისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. ასპარეზობა დამთავრდა უნგრული სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ამრიგად საბჭოთა ფეხბურთელების მეტოქენი ნახევარფინალში იქნებიან უნგრელები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

18 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

11.05 — კინონარკვევი — „ზღვასთან. სადაც ვთამამობდით“, 11.30 — მხატვრული ფილმი „ჯარისკაცი დაბრუნდა ფრონტიდან“, 17.05 — ამბტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — განცხადებები, 18.00 — ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგ